ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 188
სეკდემბრის 5, ხუთშაბათი 1902 წ.
1877

ივერია

№ 188
სეკდემბრის 5, ხუთშაბათი 1902 წ.
1902

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

გაზეთი „ივერია“

გადავიდა საკუთრებად **„ივერიის“** ამხანაგობის ხელში

ამხანაგობამ უფლება ამ გაზეთის გამოცემისა შეიძინა ნოტარიუსის წესით დამტკიცებულ ხელ-შეკრულობით 6 აპრილს 1902 წ.

ამხანაგობაში მონაწილეობას იღებენ: თ. ამირეჯიბი, როსებ თადეოზის-ძე, დოქტორი ვაწაძე, სპირიდონ იოსების-ძე, დოქტორი გაბაშვილი, გრიგოლი დიმიტრის ძე, ღოღობერიძე, ნიკოლოოზ ბესარიონის-ძე, გოგებაშვილი იაკობ სვიმონის-ძე, გძელიშვილი გიორგი ივანეს-ძე, გუნცაძე ირაკლი ალექსანდრეს-ძე, თ. დიასამიძე, გრიგოლ ნიკოლოზის-ძე, ჯაბადარი, ივანე სპირიდონის-ძე, მესხი, კონსტანტინე დავითის-ძე, მიქაბერიძე, ალე[illegible]რე ნიკოლოოზის-ძე, სარაჯიშვილი, ალექსანდრე ივანეს-ძე, დოქტორი ჩიქოვანი, ყარ[illegible] მანუჩარის-ძე და ყიფშიძე, გრიგოლ თეოდორეს-ძე.

ამხანაგობის თანხა განსაზღვრულია 15,000 მან., განყოფილი 1,500 პაით, 10 მან. თითო პაი.

ვისაც სურს შეიძინოს პაი, კეთილ-ინებოს და მიჰმართოს „ივერიის“ რედაქციას, რომელიც იმყოფება სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურობის ქარვასლაში, №№ 117 და 118.

ამხანაგობის საზოგადო კრებაზედ ხმა აქვს მხოლოდ იმას, ვინც შეიძენს არა ნაკლებ ათის პაისა.

რედაქციაში შეიძლება მსურველმა მიიღოს ეგზემპლიარი ხელ-შეკრულობისა.

პირველ სექტემბრიდან წლის დამლევამდე გაზეთი „ივერია“

ღირს **ოთხ მანეთად** და **თხუთმეტ შაურად** (4 მ. 75 კ.)

ამ ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება.

ხელის მოწერა მიიღება:

ტფილისში:—„ივერიის" რედაქცია (თავად-აზნაურთა ქარვასლა №№ 117და 118)და ქ. შ. წერა-კითხვ. გამავრც. საზოგ.წიგნის მაღაზია (სასახლის ქუჩა, თავ.-აზნაურ. ქარვასლა).
ქუთაისში:—ბეჟანიშვილის წიგნის მაღაზიასა და ნესტორ წერეთლის წიგნის მაღაზიაში.
ბათუმში: მ. ნიკოლაძის ჟურნალ-გაზეთების სააგენტოში.
ბაქოში:—ხიდდეკელის წიგნის მაღაზია (ნიკოლოოზის ქ.,ქალანთარის ქარვასლის პირდაპირ).
ბალახანაში:—ალექსანდრე ალხაზიშვილთან.
ხონში:—ნესტორ წერეთლისა და ს. ბახტაძის წიგნის მაღაზიაში.
შორაპანში:—პართენ ნასიძესთან.
გორში: ანტონ კასრაძესთან.
განჯაში: ა. ი. ალხაზიშვილთან.

ცალკე ნომრები, ტფილისს გარეთ, იყიდება **ქუთაისსა** და **ხონში** ზემოხსენებულს წიგნის მაღაზიებში და **ბათუმში** ს. ჭელიძის წიგნის მაღაზიაში.

საფოსტო ადრესი: Тифлисъ, Редакція „Иверія“.

ეკატერინე იაკობის ასული საკოვისა გულითადის მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას დაუვიწყარის ქმრის, სტატსკი სოვეტნიკის

იოსებ გიორგის ძის საკოვისას,

3-ს სეკდემბერს ნაშუადღევის 2 საათზედ. გამოსვენება მოხდება შაბათს, დილის 10 საათზედ, კათოლიკეთა ეკკლესიაში. პანაშვიდი პარასკევს, შვიდ საათზე.
(2—410—1)

საკომერციო კურსები

ქალებისა და ვაჟებისათვის

(წელი მეცხრამეტე)

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, **როგორც ქალებს, ისე ვაჟებს**, და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნენი.

სწავლის გათავების შემდეგ მოწმობანი ეძლევათ. 1902—1903 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები იქნება სასწავლებელი: 1) **საკომერციო ეკონომია**, 2) **საკომერციო არითმეტიკა**, 3) **ბუხჰალტერია** (მარტივი, ორკეცი და საბანკო), 4) **არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქით**. 5 **საკომერციო მიწერ-მოწერა**, 6) **სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი**, 7) მსწრაფლ-წერა **და წერა-გაკრული და სწორიანი** (исправленіе дурного почерка).

სწავლა დაიწყება 16 სექტემბრიდგან. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყება 2 სექტემბრიდგან, ყოველ დღე, დილის 10 საათიდგან თორმეტამდე და საღამოს 4 საათიდგან 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა, № 9, სერგიევისა დ ლერმონტოვის ქუჩების კუთხეში.

პროგრამმები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და გაეგზავნოს.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიჰმართოს კურსების დამაარსებელს **ს. პ. მანუელიანცს**, ტფილისს.

უფასოთ ვასწავლით მსურველთ საწერ მაშინაზე მუშაობას, კურსებზე სწავლა ყოველ დღე.

(24—361—23)

ქუთაისის სამეურნეო სასწავლებელში

მიმდინარე წლის ენკენისთვის ოც რიცხვიდგან დაიწყება მისაღები ეგზამენები პირველ და მოსამზადებელ კლასებში. ადგილობრივი სამეურნეო საზოგადოების თავისუფალი სტიპენდიები არის. თხოვნის მიღება გათავდება 19 სეკდემბერს. თხოვნასთან უნდა იქმნეს გამოგზავნილი შემდეგი საბუთის ქაღალდები:

ა) წლოვანობის მოწმობა, მიღებული სინოდალურ კანტორიდგან.

ბ) ყვავილის აცრის მოწმობა.

გ) სიღარიბის მოწმობა, თუ სტიპენდია უნდა.

დ) წოდების მოწმობა (თუ თავადია ან აზნაური) მაზრის თავად-აზნაურობის წინამძღოლისაგან.

სასწავლებელში იღებენ მხოლოდ ქუთაისის გუბერნიის ძველ მცხოვრების შვილებს.

სასწავლებლის დრ. მმართველი ნ. მკურნალი.

(3—208—2)

საჭიროა რამდენიმე პატარა ბიჭი

გაზეთის დამტარებლად. მსურველთ უნდა მიჰმართონ „ივერიის“ რედაქციას დილის 9 საათიდგან ნაშუადღევის 2-მდე.

კბილის ექიმი

ივანე პავლეს ძე

ახალშენიშვილი

იღებს ყოველ დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათ. და 11—2-მდე.

კვირა-უქმე დღეებში 10—1-მდე და საღამოთი 5—7. ელისაბედის ქუჩა (კუკიაში), სახლი № 38.

(წლ.)

ექიმი ალ. მაღალაშვილი

მიხეილის ქუჩა, № 30.

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშვო ნეულებით ავადმყოფებს დილის 12—2-დე და საღამოთი 4—5-დე. წლ.

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ზ. ი. ბაბანასოვი. დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

ქ. ი. ბძელიშვილი. 12—1 საათ. ყელისა, ყურისა, და ცხვირის ავადმყოფობანი.

გ. ა. თარხანოვი. 1—1½ საათ. შინაგანისა და ბავშვების.

საღამოობით:

ქ. ი. ბძელიშვილი. 6—7 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის ავადმყოფობანი.

ბ. ა. ნავასარდიანი. 7½—8 ს.

ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

გ. ა. თარხანოვი. 7—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница д-ра Навасардіанца. Тифлисъ, противъ памят. Ворон.

(წლ.

ტფილისის კერძო სამკურნალო

გედევანიშვილისა

ავადმყოფთათვის კრაოტები

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21, ავჭალის ქუჩის დასაწყისში.

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

ვ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათამდე, სამშაბათს ხუთშაბათს და შაბათს.

ნ. ტ. მულინი—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულ. 9—10 ს.

ვ. გ. მაღალაშვილი—შინაგან. სამშაბათობით ხუთშაბათობით და შაბათობით, 10—11ს.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—11 საათ.

ქ. მ. ელიოზიშვილი—შინაგან და ბავშვების ავადმყოფობათა, 11—12 ს.

დ. ა. გედევანიშვილი—შინაგან, ნერვებითა და ელექტროტერაპია 12—1 ს.

ა. გ. ბარსუკოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით, 12—1 საათ.

ვ. მ. მანსვეტოვი—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა—სამშაბათობით და პარასკევობით 1—2 ს., კვირაობით 9—10 ს.

ბრ. ვ. სობოლევსკი—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 1—3 საათ.

გ. მ. ამბარდანოვი—ათაშანგისა, კანისა და საშარდესი, 1—2 ს.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი, 5—6 საათ.

ა. გ. მაღალაშვილი—შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 სათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

რჩევა 50 კ., ოპერაციები მორიგებით, კრაოტები 3 მან. 5 მანეთამდე. (წ.)

ტფილისი

◆ გუშინ ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლის სააქტო დარბაზში მშობლების თანადასწრებით კენჭი უყარეს იმ მოწაფეთ, რომელნიც მიღებულ უნდა ყოფილიყვნენ ტფილისის გუბერნიის შეუძლებელ მოსწავლეთა დამხმარებელ საზოგადოების სრულსა და ნახევარს ხარჯზე. კენჭი უყარეს ორასამდე მოწაფეს, ხოლო თავისუფალი ვაკანსია-კი იყო ხუთი. აქედან ორი ვაკანსია საზოგადოების სრულს ხარჯზე და სამი—ნახევარზე. საზოგადოების სრულს ხარჯზე მიღებულ იქმნენ: ილია ჩოლოყაშვილი და ნიკოლოზ ბადრიძე, ხოლო ნახევარ ხარჯზედ-კი—ნიკოლოზ მაღალაშვილი, კოსტანტინე რატიშვილი და ვასილ ვახვახიშვილი. ამ უკანასკნელთა კანდიდატებად არჩეულ იქმნენ: გიორგი ჟურული, სოლომონ ორჯონიკიძე, ალექსანდრე ბადრიძე, ალექსანდრე ბაქრაძე, ანდრია ნაცვლიშვილი და ლევან ყარალაშვილი.

◆ წელს ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლაში შესვლის მსურველი 196 მოწაფე იყო, აქედან მიღებულ იქმნენ პირველს განყოფილებაში 55 მოწაფე, მეორე განყოფ.—26, ხოლო მეხუთე პროგიმნაზიულ კლასში 7. ამ ნაირად სულ მიღებულ იქმნა 88 მოწაფე.

◆ ამ ორ-სამს დღეში სრულიად მზად იქნება სახლი, რომელშიაც უნდა მოთავსდეს ახლად დასაარსებელი ქართული პირველ დასაწყისი დედათა სკოლა ყაზბეგის ქუჩაზედ. ამ ჟამად სკოლაში მუშაობა გაცხარებით სწარმოებს, მზადდება და იღებება სასკოლო პარტები. ერთი ნაწილი შეგირდებისა უკვე მიიღეს. დანარჩენთა მიღება ხვალ-ზეგ გათავდება.

◆ ამ დღეებში დაიბეჭდა ახალი რუსული წიგნი: აღწერა საეკკლესიო მუზეუმის ხელნაწერთა, ნაწილი მეორე, შედგენილი თ. ჟორდანიას მიერ ყოვლად სამღვდელო კირიონის ბრძანებითა და ლოცვა-კურთხევით. პირველი ნაწილი ამ წიგნისა, იმავე ავტორისაგან შედგენილი, იბეჭდება და მალე მზად იქნება.

◆ „სასულიერო მოამბის“ უკანასკნელს ნომერში დაბეჭდილია პირველი ნაწილი სამრევლო სკოლების ახალის გეგმისა. სალმრთო სჯულის სწავლების შესახებ ჩვენ დიდი შეცდომა მოგვივიდა. ჩვენ ნათქვამი გვქონდა, რომ წმინდა ქართულს სკოლებში სალმრთო სჯული ისწავლება და მთლად თავდება მხოლოდ ქართულს ენაზე სამის წლის განმავლობაში და მეოთხე წელიწადს იმეორება რუსულს ენაზეო. ნამთვილადკა სხვა აღმოჩნდა. თუმცა სალმრთო სჯულის სწავლება დაწესებულია ქართულს ენაზე ორის წლის განმავლობაში, მაგრამ რუსულის ენის მონაწილეობით. ეს მონაწილეობა თვით პირველს წელიწადს ამ სახით განისაზღვრება: Желательно, чтобы, гдѣ возможно, по мѣрѣ изученія русскаго языка, на основаніи наглядныхъ пособій (картинъ 12 праздниковъ и друг.) введены были на русскомъ языкѣ отвѣты на отдѣлные вопросы, относящіеся къ обясненію священно-историческихъ картинъ и изученіе наизусть нѣкоторыхъ краткихъ молитвъ на церковно-славянскомъ языкѣ. მეორე წელიწადს რუსულის ენის მონაწილეობა უფრო გაფართოვებულია: Всѣ выученныя въ первомъ году молитвы на туземномъ языкѣ во второй годъ обученія должны быть заучены по церковно-славянски. Священно-историческіе разсказы, изученные на туземномъ языкѣ, гдѣ можно, излагаются порусски въ видѣ отвѣтовъ на вопросы, исторію-же двунадесяти праздниковъ, по возможности въ связной передачѣ. მესამე წელიწადს სალმრთო სჯული ისწავლება ორსავე ენაზე, პარალელურად და მეოთხე წელიწადს-კი მხოლოდ რუსულს ენაზე.

◆ 3 სეკდემბერს მოხდა შეერთებული კრება ქალაქის გამგეობის წევრთა, ქალაქის ტეხნიკოსთა და იმ კომისიის წევრთა, რომელსაც დავალებული აქვს ზუბალაშვილის სახელობაზედ ღარიბთა თავშესაფარის აგება. კრებამ, გაიცნო-რა ტეხნიკოსის აგანჯანოვის მიერ წარდგენილი პლანები და შენობის გეგმა, დაამტკიცა; კრებამვე უჩვენა ბ-ნ აგანჯანოვს სხვა-და-სხვა ღონისძიება, რომლითაც ხარჯად მოსაზრებული ასი ათასი მანეთი შეიძლება შემცირდეს 80,000 მანეთამდე; ამასთანავე კრებამ დაადგინა შეეკითხოს რკინის ქარხნებს. ვინ მოისურვებს ამ შენობისთვის დაამზადოს 1,400 ფუთი რკინა და მიტანით რა ეღირებაო; დაავალა აგანჯანოვს ახლავე შეუდექი საქმეს და სხვა-და-სხვა სამუშაო ამ შენობისა იჯარით იქმნას გაცემულიო. კრებამ ბოლოს ამოირჩია მცირე კომისია, სამის კაცისაგან შემდგარი, რომელსაც დაევალა ყველა მასალის მიღება და მუშაობის თვალყურის დევნება. ამ კომისიაში ამოირჩიეს ბბ. ნ. ნ. ოსტროგორსკი, ა. ი. ბებუთოვი და გრიქუროვი.

◆ გუშინ, 4 სეკდემბერს, დანიშნული იყო ქალაქის გამგეობისა და ტეხნიკოსთა კრება, რომელსაც უნდა განეხილა ტფილისის ელექტრონით განათების პროექტი. ამ კრებაზედ მოწვეულნი იყვნენ აგრეთვე ინჟინერები მუხარინსკი და ევგოროვი, რომელთაც დავალებული ჰქონდათ ამ საგანზედ თავისი აზრი წარმოეთქვათ.

◆ 18 ამ თვეს, რიყეზე, დანიშნულია საჯარო ვაჭრობა სევერსკის დრაგუნთა პოლკის იმ ცხენებისა, რომლებიც უვარგისად უცვნია პოლკის საზეითალო კომისიას.

◆ დღეს დანიშნულია ტფილისის საქალაქო სამოსწავლო კომიტეტის კრება. კრებამ უნდა განიხილოს შემდეგი საგნები: 1) დანიშვნა მართლმადიდებელთა დ გრიგორიანთათვის სკოლებში სალმრთო რჯულის მასწავლებლებისა; 2) განხილვა ტფილისის სახელოსნო სკოლისა და ტფილისისავე დედათა საპროფესიონალო სასწავლებლების მომავალ წლის ხარჯთ-აღრიცხვისა; 3) დანიშვნა მასწავლებელ ქალებისა მასწავლებლებად I და მე-II-რე პუშკინის სკოლაში და 4) ტფილისის რომელ დასაწყისს სკოლას რუსთა რომლის მწერლის სახელი ეწოდოს.

◆ ქალაქის გამგეობის ზოგიერთმა წევრმა განაცხადა სურვილი, რომ რაც ტფილისში ქალაქის დებულება შემოვიდა და საბჭოსაგან საქმეები გადასწყდა, იმ დღიდგან გარდაწყვეტილი საქმეები ერთად შეიკრიბოს და დაიბეჭდოსო. გამგეობის ამნაირ გარდაწყვეტილების აღსრულება დაევალა ქალაქის საბჭოს მდივანს ს. ჭრელაშვილს, რომელსაც უკვე დაუმთავრებია მინდობილი საქმე.

◆ ახლა ხანს ცეცხლისაგან დაზარალებულ ტფილისის ობსერვატორიას, კავკასიის მთავარ მართებლის განკარგულებით, ებოძა ასი თუმანი საგანგებო თანხიდგან.

◆ ამავე საგნისთვის ობსერვატორიის დირექტორს გლასეკს უთხოვნია სამეცნიერო აკადემიისთვის, შემწეობა აღმოუჩინეთ დაზარალებულს ობსერვატორიასაო.

◆ ობსერვატორიაში მეცადინეობა მოხელეთა ჩვეულებისამებრ სწარმოებს დილის 9 საათიდგან.

◆ 2 სეკდემბერს, ქალაქის ხორცის დუქნებში შემოსულა 759 მან. და 14 კაპ.

◆ 1 სეკდემბრისათვის დანიშნული იყო საჯარო ვაჭრობა იჯარით გასაცემად ნავთლუღში ქალაქის იმ ადგილებისა, სადაც ნავთი აღმოჩნდა. რადგანაც პირველ სეკდემბერს არ შესდგა ვაჭრობა, ამიტომ ამ მიწების ხელმეორედ გაცემა იჯარით დაინიშნა ამ თვის ბოლოსათვის.

◆ მე-8 განყოფილების სავაჭრო-სამრეწველო ზედამხედველმა აცნობა ქალაქის გამგეობას, რომ დიმიტრი ბერეზნიჩევმა დაიჩემა ქალაქის ადგილი და განკარგულება მოახდინეთ რამეო.

◆ 3-ს ამ თვეს ტფილისის ქალაქის ხორცის დუქნების უფროსი გამგე ბ-ნი ალიხანოვი ბაგუ-

რიანში გაემგზავრა საქონლის შესაძენად. მის თანამდებობის აღმასრულებლად დაინიშნა ბუხგალტერი ოგანეზა მალხაზიანცი.

◆ 1 სეკდემბერს, 15 წლის ე. მ—ძე ნიკოლოოზის ქუჩაზედ შეიტყუა დუქანში ვიღაც ი. ს—მა თავის ამხანაგთან ერთად დ გააუპატიურა ყმაწვილი. ბოროტ-მოქმედი პოლიციამ შეიპყრო.

◆ 2 სეკდემბერს განთვის ქუჩაზედ, შუადღისას, გაუჩნდა მანთაშევის სახლს ცეცხლი ბუხრიდგან. ცეცხლი მალე ჩააქრეს. მანთაშევი, ბუხრის გაუწმენდელობისათვის პასუხის გებაში იქმნა მიცემული.

◆ 1 სეკდემბერს რუსის ქუჩაზედ თავის ამხანაგთან ჩხუბის დროს გიორგი პრელაშვილმა ოსიტაშვილს დაარტყა დანა მუცელში და დაიმალა; ექიმების სიტყვით, ოსიტაშვილის სიცოცხლე განსაცდელშია.

◆ 2 სეკდემბერს,მე-6 განყოფილებაში,დავით დავიდოვი შეუხტა თავის ხასად ნამყოფს როსკიპს მარიამ ხარაზოვს და ჯიბის დანა დაარტყა თავსა და მკერდში; დავიდოვი შეიპყრეს, ხარაზოვისა საავადმყოფოში გაგზავნეს.

◆ 3 სეკდემბერს თავ. კ. თუმანიშვილის სახლი ვიღამაც გასტეხა და წაიღო სტოლის უჯრიდგან 300 მ. ეჭვი თუმანიშვილმა განაცხადა თავის მზარეულსა და მეეზოვეზედ ესტატე კობიჩავაზედ და ბიძია კილოსანიძეზედ.

◆ 1-ლ სეკდემბერს, პარკის ქუჩაზედ, თავი მოიკლა 33 წლის ქალმა მ. თ. ბ—სამ.

◆ 2 სეკდემბერს თელავის მცხოვრებმა ტიგრანა არზუმანოვმა ჩაარტყა მუცელში დანა გერასიმე ტარიანოვსა, რომელიც საავადმყოფოში წაიყვანეს. არზუმანოვი შეიპყრეს.

ჩვენებური ამბები

ბორჩალო. დაიძრა მთიდგან ხალხი ბარისაკენ და ბორჩალოშიც ყაჩაღობამ თავი იჩინა. სათარეშოდ მათ აირჩიეს ბოლნისის გადმოსწვრივი ხეობა. მარიამობის თვის 29-ს ყაჩაღები მთელს ქარავნებს აჩერებდნენ, სძარცვავდნენ და თან ატყვევებდნენ, ხელებს უკრავდნენ და საღამომდის არ უშვებდნენ. მათვე დაეჭირათ ასისთავად ნამყოფი, ბორჩალოში ყაჩაღების დაჭერაში სახელგანთქმული ოსი გიორგი ჩოჩიევი, ჩამოეხსნათ თოფი და მიეკრათ ხეზე საღამომდის. საღამოს ხანზე დატყვევებულები რომ გაენთავისუფლებინათ, გიორგისათვის გულში თოფი დაეკრათ, გაეძარცვათ და იქვე ხევში გადაეგდოთ. ყაჩაღები იმ საღამოს სწვეოდნენ ჩათახში თუჯის ქარხნის სასახლეს, სადაც იქ მყოფ ჩეჩენთა დარაჯთ სროლა დაეწყოთ და ახლო არ მიეშვათ. გიორგი ჩოჩიევის სიკვდილის ხმა მოედო ეკატერინენფელდს პირველ ენკენისთვეს. მისი გვამი დაასაფლავეს ეკატერინენფელდის სასაფლაოზე.

მღვ. ს. ბაიდოშვილი.

ქუთაისი. „გელათობა“ ანუ გელათის დღესასწაული იცის რვა ენკენისთვეს და ამ დღეს რამდენიმე ათასი სული მლოცავი იკრიბება. ქუთაისის მცხოვრებთა ორი წილი მაინც მიდის ამ დღეს გელათში. ამას კიდევ ის უწყობს ხელს, რომ ამ დროს რამდენისამე მატარებლის მიმოსვლაა დანიშნული რკინის გზის მთავრობისაგან ქუთაისსა და გელათს შუა და ბილეთიც სულ რაღაც რვა კაპეიკი ღირს. მაგრამ უბედურება ის არის, რომ ყოველ ამ დღესასწაულს, მატარებლების სიცოტავის გამო, ქუთაისის სადგურზედ მუდამ რჩება რამდენიმე ათასი სული, გელათში წასვლის მსურველი, რომელნიც დილიდგან სამხრობამდე დგანან და უყურებენ: ,,აცა, აგერ ჩვენც მოგვივა რიგი წასვლისაო‘‘...

მეორე უხერხულობა კიდევ ის არის, რომ მხოლოდ თითო ბილეთის კასსაა ამ ხალხთა მოზღვავების დღესაც. ამიტომ კასასთან დაუსრულებელი სრესა-გლეჯაა და ვაი-უშველებელი. ვინც ღონიერია და მკლავ-მაგარი, მხოლოდ ის იმარჯვებს, ბილეთს შოულობს და მიდის კიდევაც. უფრო საცოდავ მდგომარეობაში არიან ქალები, ჯერ ქუთაისში სჭირს მათთვის ბილეთის აღება და მერე გელათის სადგურზედ უკან დაბრუნებისას. სწორედ უბედურობაში ჩაცვივდებიან ხოლმე და რაკი ბილეთს ვერ იღებენ, ბევრი ფეხით ბრუნდება შინ, ცდით მოღალული. ამ დღეს, როგორც ყოველთვის ამისთანა შემთხვევაში, ათასი მატყუარა და ჯიბგირ-ქურდ-ბაცაცებით აივსება ხოლმე სადგური.

ყველა ეს უწესოება და უსიამოვნება აცილებული იქნებოდა თავიდგან, რომ რკინის გზის მმართველობას რამდენიმე მატარებელი მიემატებინა და რამდენიმე კასა დაედგა ქუთაისისა და გელათის სადგურზედ.

ქუთაისში ეს ერთი კვირაა, რაც ძლიერი ქარია. მთელი ქუთაისი მტვრით იღრჩობა. ქუთაისის ქუჩებზედ ახლა სიარული მართლა რომ დიდი ვაჟკაცობაა! გარდა იმისა, რომ შავი, სქელი ღრუბელივით ვარ-შემოდებული საშინელი მტვრის კორიანტელი წაღმა-უკუღმა გატრიალებს და გაგუდულს სუნთქვის საღსარს არ გაძლევს, თვალითაც ველარ იხედები და ხან ერთს დაეტაკები, ხან მეორეს, აგერ კიდევ შენ დაგეტაკნენ და არის ასეთი დაუსრულებელი ქუჩის ბუცაობა...

არათუ ქალაქს, რიგიან სოფელსაც არ ეპატივება ასე ღვთის ანაბარად ქუჩების თავ-მინებება, როგორც ეს ქუთაისში არის. როცა ავდარია, სწორედ სანავო ტბა დადგება ხოლმე და როცა ეს ღრმა წუმპე ამოშრება, მერე ნახევარ ადლზედ დახვავებული ქუჩის ნაგავი უნდა ჰყლაპონ—კვირის-კვირობამდე თვიდგან-თვემდის მთელმა ქუთაისის მცხოვრებლებმა და მიმსვლელ-მომსვლელმა.

ამის მნახველი უნებურად კითხულობ: ნეტავ, რას აკეთებენ ჩვენი ქალაქის მმართველნი. ნუ-თუ ისიც ვერ მოუხერხებიათ, რომ ამ გამუდმებულ ნაგვის ყლაპვას უშველონ რამე?!

ამ 7—8 წლის წინად ქუთაისის საბჭომ ორჯერ დაადგინა სავალდებულოდ სახლის პატრონებს თავისი ნახევარი ქუჩა მოეგავათ—მაგრამ აქამდის აღსრულებაში არ მოუყვანიათ.—ეს-კი სულ „შენ-ჩემიანობის“ და „ნათლი-მამობის“ ბრალია. არ უნდათ აწყენინონ ვისმე, შავი კენჭი არ დავიმსახუროთო.

განა არ შეუძლია ქალაქს ეს მაინც გააკეთოს და მით დაიხსნას ქუთაისის მცხოვრებნი წლითი-წლობამდე მტვრით გამოკვებისაგან? მაშ, რაღას ვემდურებოდით ქალაქის ძველ მმართველებს—ლოლუასა და სხვათა და რაღაზედ გვქონდა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა მათთან, თუ ქალაქს არავითარი სასიკეთო ნიშან-წყალი არ დაეტყობოდა? და რა დაეტყო?—ისევ ის დაუგველი ქუჩები, ისევ ის დაუსრულებელი მტვრის ყლაპვა და სხვა დაუსრულებელი უწესობა.

ვიმეორებ, ადვილად შეუძლია ქალაქის გამგეობას, თუ მოინდომებს, აღსრულებაში მოიყვანოს საბჭოს დადგენილება, სახლის პატრონთაგან თავ-თავიანთ ნახევარ ქუჩის დაგვის შესახებ და ისიც, რომ მთავარი ქუჩები, როგორც მაგალითად, ტფილისის ქუჩა—რომელზედაც დღე და ღამე შეუწყვეტელი მიმოსვლაა ხალხისა, ბულვარი და მისი გარეშემო და სხვათა მორწყვა ყოველ-დღე ცეცხლ-მქრობელ რაზმის შემწეობით, რომლის ცხენებიც ტყუილად დგომით ლამის სიარულს გადაეჩვიონ და ტყავებიც შემოასკდეთ სიმსუქნით.

ეს გასაჭირი მანამ არის, სანამ მილის წყალი გამოვიდოდეს ქუთაისში—(სულ წელიწად-ნახევარი). მერე-კი ეშველება ქუთაისს.

მეთვალყურე.

რუსეთი

ფინანსთა სამინისტროში აღიძრა საკითხი სამინისტროსთან არსებულ ლაბორატორიის გადაკეთებისა. პროექტის შემუშავებას უკვე შეუდგნენ.

— შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეურნეო დეპარტამენტის დამზღვევმა განყოფილებამ გაგზავნა მოხელენი დაზღვევის საქმის პრაქტიკულად შესასწავლად ყველა დამზღვევ საზოგადოებაში იმ აზრით, რომ უკეთ მოწესრიგდეს ამ საზოგადოებათა დაწესებულების მოქმედებათა კონტროლი და მიღებულ იქმნეს ზომები დაზღვევის ყოველგვარ ოპერაციების განსავითარებლად.

— სახელმწიფო ბანკის განკარგულებით გამოიცა წიგნაკი იმ აზრით, რომ გაეცნოს მცხოვრებლებს არსებული კანონდებულება მცირე სახალხო კრედიტისა და საუცხოვო წესდება კოოპერატიულ საკრედიტო დაწესებულებათა შესახებ. ეს წიგნაკი დაეგზავნება ბანკის ყველა პროვინციალურ დაწესებულებათ, რომ დაურიგდეს სახალხო მცირე კრედიტის დაარსების მსურველთ.

— ახლო მომავალში ფინანსთა სამინისტროს საბაჟო განყოფილებაში განზრახული აქვთ გადასინჯვა იმ ბაჟებისა, რომელიც არსებობს 3,000 ვერსზედ უფრო ნაკლებ მანძილზედ.

— ოქტომბრის 1-დგან იწყებს მოქმედებას ახალი საბაჟო დადგენილება რუსეთის სადგურებიდგან გერმანიისა და ნიდერლანდიის რკინის გზათა სადგურებამდე სელისა და კანაფის გადატანის შესახებ.

უცხოეთი

საზღვარ-გარეთიდამ

(წერილი მეორე)

საზღვარ გარედ ჩვეულებად აქვთ, რომ იმ ავადმყოფთ, რომელნიც სამადნო წყლებზედ ხანს დაჰყოფენ, მერე გაჰგზავნიან ხოლმე მკურნალობის განსაგრძობად შვეიცარიასა ანუ იტალიაში. რუსეთშიაც ასე იციან, ამისთანა ავადმყოფებს ყირიმში ჰგზავნიან ხოლმე. უნდა-კი ვსთქვათ, რომ იტალია ამ მხრივ ჯერ კიდევ ვერ შეედრება შვეიცარიას. იტალიის წინააღმდეგ ჯერ კიდევ ბევრს რასმე ლაპარაკობენ. ამ დღეებშიაც-კი ჰქონდათ პოლემიკა იტალიელებს ბედეკეროსთან, რომელიც ამბობს თავის გზათა-მაჩვენებელში, რომ ზოგიერთი ადგილი შუა-იტალიისა მავნებელია ადამიანის ჯან-მრთელობისათვისაო.

შვეიცარია ახლავე ემზადება, რომ შემდეგში მოცილეობა გაუწიოს თავის მეზობლად მდებარე ქვეყანას. ამას წინად შვეიცარიის სასტუმროების პატრონთა სინდიკატმა ორი ჯილდო დანიშნა იმათთვის, ვინც წარუდგენს სინდიკატს საუკეთესო პროექტს იმისას, თუ რა გზით უფრო მოსახერხებელია ბლომად მიიზიდოს შვეიცარიამ უცხოეთიდან სტუმრები.

ვგონებთ საკმაო საბუთი-კი აქვს შვეიცარიას, რომ კმაყოფილი იყოს ამ მხრივ. წელს უცხოელ სტუმართა რიცხვი ბევრად მეტი იყო ლიუცერნში, ვიდრე წინად. იქაურ გაზეთების ცნობით, მაისიდან სეკდემბრამდე ლიუცერნში იყო ას შვიდი ათასზედ მეტი უცხოელი. ლიუცერნსა და ივერდონს არას დროს არა ყოფილან ამდენი უცხოელნი მოგზაურნი და ავადმყოფნი. არც-კი იცოდნენ, სად შეეფარებინათ თავი. ამ მხრივ დიდი დორანი დაუდგა უკანასკნელს წლებში განსაკუთრებით ლოზანას; მერე შესამჩნევადაც გალამაზდა სხვა-და-სხვა ახალის შენობით: ააგო შენობანი ფოსტისათვის, ბანკისა და უნივერსიტეტისათვის. ვილლებიც საკმაოდ ბლომად აშენდა. მაგრამ ის-კი ვერ არის კარგი, რომ ცხოვრება ამ ქალაქში საკმაოდ გაძვირდა და და აღარც ისეთი მშვიდობიანი ქალაქია ახლა, როგორც წინად იყო, სახელდობრ, სამი-ოთხის წლის წინად. ახლა არა იშვიათად გაიგონებთ, რომ ჟენევაში უფრო იაფად შეიძლება იცხოვროს კაცმა, ვიდრე ლოზანაშიო, მეტადრე იმან, ვინც ცოტად თუ ბევრად დიდის ხნით დარჩება იქა. არა იშვიათად გაიგონებდით აგრეთვე, რომ ღამ ღამობით დაეცნენ თავს ამა თუ იმ უცხოელს ბოროტ-მოქმედნიო, თუმცა გაზეთები სდუმან და არას სწერენ ამისთანა ამბების შესახებაო. ყოველ შემთხვევაში, აქ უცხოელთა რიცხვი ბლომად არის. აქ ანგარიშში არ ვაგდებ რუსეთიდან მოსულს მოსწავლე ახალგაზდობას. ეს ახალგაზდობა მაინც არსადა სჩანდა თითქმის, რაკი ზაფხული იყო და არდადეგების გამო აქეთ-იქით გაფანტულიყვნენ. ინგლისელები თითქო ნაკლებად არიან და უფრო ბლომად სჩანან ფრანგები. იტალიელთაგან უფრო მდაბიო ხალხი მოდის აქ სამუშაოდ. ძალიანაც აფასებენ აქ ამ მუშა ხალხს, რადგან კარგი ოსტატები არიან შენობათა აგების საქმეში. უმეტესი ნაწილი ლოზანის ლამაზ შენობათა აგებულია იმ ქვით, რომელსაც სტეხენ ლემანის იქითა ნაპირად: იქ-კი უკვე საფრანგეთის მიწა-წყალია. ამ შენობათა აგებაზედ მუშაობენ იტალიელი იჯარადრები დ ოსტატები. იგივე იტალიელები აშენებენ სიმპლონის გვირაბს, რომელიც, როგორც ნამდვილად შევიტყვეთ, სრულიად მზად იქნება 1904 წლის ზაფხულისათვის. ამ გვირაბის დამთავრებით დაიწყებს მუშაობას მესამე გზა, რომელიც აერთებს იტალიას და შვეიცარიას, ლოზანასა და მილანს სიმპლონსა და დომოდოსზედ, სადაც ახლა უღელტეხილის სანახავთა მშვენიერებით სტკბებიან ისინი, ვინც ცხენებით მიდიან ბრიგიდან.

ლოზანაში ცხოვრების სიამოვნება სრულიად და სავსებით დამოკიდებულია იმაზედ, რომ ეს ქალაქი გაშენებულია ლემანისა ანუ ჟენევის ტბის ნაპირად. არა ჟენევის კანტონებს არაფრად ეპიტნავებათ ეს სახელწოდება და სცდილობენ ამ ტბას ლემანი უწოდონ ხოლმე. დიაღ, ამ ტბაზეა დამოკიდებული ლოზანის შვენიერებაცა, მის მიდამოთა სილამაზეცა და თვით ტბაზე სეირნობის სიამოვნებაცა. სასიამოვნოა აგრეთვე გასეირნება ტბაზედ ჟენევამდე, ვევემდე, მონტრემდე, შილიონამდე და საფრანგეთის სავოიამდე.

ლოზანაში მუდმივ მცხოვრებთა რიცხვი 48,000 არ აღემატება. ამათში თითქმის ერთი მეექვსედი უცხოელნი არიან. ზაფხულსა და შემოდგომაზედ-კი, როცა უცხოელნი მრავლად მოიკრებენ ხოლმე თავს, იტყვით, რომ 100,000-ზედ ნაკლები არ უნდა იყოს რიცხვი მცხოვრებთაო, ისეთი მოძრაობაა დღისით ქუჩებში. სამაგიეროდ, ღამ-ღამობით ყოველივე მიყუჩდება ხოლმე და ამ მხრივ ლოზანამ შეინარჩუნა ის ძველებური კეთილი ჩვეულება შვეიცარიის ყველა ქალაქებისა, რომელიც ასე ხელს უწყობს იმათ, ვინც უფრთხილდება თავისს ჯანს და ეტანება მოსვენებას. ამიტომ ის მოგზაურნი და ის ტურისტები, რომელნიც კარგად ჰგრძნობენ თავს, დიდხანს არ აყოვნებენ აქ, ხოლო იმათთვის, ვინც სცდილობენ ჯანი გაიმაგრონ, აქ მეტად და მეტად კარგი სამყოფია.

საჭმლე-სასმელი პანსიონებში, საცა ბინას დასდებენ ხოლმე საკმაო დიდის ხნით მოსულნი უცხოელნი, ცოტა უცნაურია, თავისებური და ყოველთვის არ მოეწონება ზოგიერთ გემოთ-მოყვარულსა და სმა-ჭამის მოტრფიალესა. სასტუმროებში-კი სასმელ-საჭმელი არაფრით არ ჩამოუვარდება ევროპის სხვა ქალაქთა სასტუმროების სასმელ-საჭმელებს. თვით ცხოვრებაც ამ სასტუმროებში ისე უხერხული არ არის, როგორც იქ, საცა მეტის-მეტად ბევრი ხალხია ხოლმე თავ-მოყრილი, როგორც მაგალ., ლიუცერნსა და ინტერლავენს

ფელეტონი

თამარიანი

(თხზულება „ჩახრუხაძისა“).

I

განიხილავს-რა ამ თხზულებას ნ. ი. მარრი, ამბობს: „თურმე ეს ერთი **მთლიანი** ოდა კი არ ყოფილა, არამედ კრებული წვრილ-წვრილ ლექსთა, სახოტბო შინაარსისა, შესაქები თამარისა ანუ ასე თუ ისე მისს სახელთან დაკავშირებული... თითქმის ყოველს ცალკ-ცალკე ლექსს აქვს თავისი საკუთარი შესავალი, უმეტეს ამისა, ყველა ეს ლექსები დაწერილია ერთნაირ გეგმაზე... (გვ. 39).

მთელი „თამარიანი“ მარრს დაუყვია 12 ოდად, და ამისათვის დასჭირებია გადაესხ-გადმოესხა არა თუ მთელი ტაეპები, არამედ, ხშირად, თვით მთლიანი ტაეპების ესა თუ ის სტრიქონებიც და, ამას გარდა, აქა-იქ გამოეკლო თვით ზოგი ლექსებიც, როგორც, ვითომ ყალბი ნაწარმოები.

ეს თხზულება ჩვენც ბევრჯელ წაგვიკითხავს, ბევრჯელ დავკვირვებივართ მისს შინაარსს, დასაწყისს, შუაგულს, დასასრულს და ყოველთვის გამოგვიტანია ის აზრი, რომ „თამარიანი“ ერთი **მთლიანი** ნაწარმოებია, აქვს თავისი შესავალი, შინაგანი მთლიანობა, დასკვნა და შენიშვნა.

მხოლოდ ტაეპები 28, 29, 30, 31 და 109, 110, 111 და 112 ერთნაირ სიტყვებით გალექსილია, გარნა მნიშვნელობა სხვა-და-სხვა გვარი აქვთ. სახელდობრ:

პირველს ტაეპებში გამოთქმულია მიმართვა ჯერ ისევ ცოცხალის თამარისადმი („ანელმან რა სთქვა დღეს მუსულმანთა მოსანთებარე“), უკანასკნელებში იგივე მიმართვაა უკვე გარდაცვალებულისადმი. შენ რომ აღარა ხარ, თამარ,

რა სთქვას ანელმან
დღეს მუსურმანთა
მოსანთებარე,
აგარის ერთა
სალმობიერთა
სხვამცა ვინ იყოს
სრვად შემძლებარე?

ამას გარდა, აზრის მსვლელობაც და ლექსის დაბოლოებაც ცხადად გვიჩვენებს, რომ 108 ტაეპს უნდა მისდევდეს 113 ტაეპი.

თამარიანის მთლიანობა სჩანს-მეთქი მის შინაარსითაც. გარნა ამასვე უფრო ცხად ჰყოფს განხილვა მარრის „ოდებისა“.

ეს განხილვა გვიჩვენებს, რომ ხშირად მარრის „ოდა“ იწყება იმ ლექსიდამ, რომელიც მტკიცედ დაკავშირებულია წინა ლექსთან, და რომელიც უწინა ტაეპოდ ანუ სტრიქონოდ ყოვლად გაუგებარია.

პირველს ოდაში მარრს მოუქცევია შემდეგი ტაეპები: 1, 2, 3, 65, 66, 67, 68, 69, 104, 105, 106, 107, 108 და 113.

მესამე ტაეპიდგან მე-65-ზე გადასვლა შეუძლებელია, ამისთვის: წინა ტაეპებში ავტორი იწვევს ფილოსოფოსებს თამარის საქებრად, გარნა შენიშნავს: ვერვინ შესძლებს მის ქებასო, მე-კი, არისტოტელო, შემიძლიანო, რადგან ლაწვ-მწყაზარს ცისკროვნად **ვხედავო** და ვისაც ეს უნათლიერესი მთვარე **თავის თვალით** არ დაუნახავს, ვერც შეაქებსო, თანახმად მის შესახებ თქმულისაო: „თუ ვერვინ გნახის, მით ივაგლახის: შეიქმნებოდის განცვიფრებულად“. ერთის სიტყვით, 1—4 ტაეპებში ავტორს ჰსურს თქვას, რომ ვისაც თამარი არ უნახავს, თავის თვალით არ განუცდია მისი სიმშვენიერე, ვერც შეაქებსო, და რადგან მე მიხილავს და ვხედავ მისს ცხოვრებას, კიდეც ძალმიძს შევაქოო.

ამას გარდა, თუ მე-65 ტაეპი მოვაბით **მესამე** ტაეპს, მაშინ შედარებით მე-64 ტაეპისა უაზრობა გამოვა: მე-64 ტაეპში ნათქვამია, თავი დავანებოთ აწ ლექსების თქმას, ყველას „გვიჯობს ღვთის მიდევნებაო“, და შემდეგ იწყებს (ტ. 65) საღვთისმისადევნო ლექსების თქმას.

69 ტაეპიდგან მე-104 ტაეპზე გადასვლა არ შეიძლება, რადგან ავქსონმა „ღვთის მიდევნების“ ლექსვა იმიტომ დაიწყო, რომ თამარი მოეწვია „ადამის ხსნად“, „მუსურმანთა მსვრელად“ (ტ. 70—73).

მეორე ოდას შეადგენენ ტაეპები: 20, 21, 22, 23 და 24.

მე-20 ტაეპი მე-19 ტაეპის ამხსნელია, მისი გამმარტებელი. მათი გაყოფა უაზრობას, გაუგებრობას ჰბადებს. ასრე:

ვიდრე ქვეყნის დამაარსებელი არსებობს, თქვენც, თამარ, ძითურთ ისუფევეთო. ღმერთმან საულს მეფობა წაართო და დავითს მისცაო და ასრე შეჰფიცაო: „პირველი შიშვლდების და შენგან კვალად სამოთხესავე იშვების შვებულადო“ (თამარის გამეფებაც ხომ ასრე იყო). ეს არის შინაარსი მე-19 ტაეპისა. ამას მოჰყვება მე-20, საცა ნათქვამია, რომ ეს (დავითისათვის მეფობის გადალოცვა) „სიბრძნით ჰქმნა ღმერთმაო“, ცა და ქვეყანამ ეს იცისო.

ოდა მესამე იწყება ტაეპიდგან 81. ამ ტაეპში ავტორი მიჰმართავს გულს („გულო აბა მო“), რომელსაც „მეხებრ სწვავს დავით ძლიერი“ (ტ. 80). ეს ოდა თავდება 86 ტაეპით. გარნა 86-შიაც და 87-შიაც თამარისებრ არსების ძებნაზეა ლაპარაკი.

მეოთხე ოდას შეადგენენ ტაეპები 25, 26, 27 და 1-ლი სტრიქონი 28-ისა!

მეხუთე ოდა თავდება მე-42 ტაეპით. გარნა ამ ტაეპის წინა და ქვემო ტაეპებში (43—45) ჩამოთვლილნია მიჯნურნი, რომელთაც უთამაროდ გული სტკივათ, რეტი ესხმებათ, რომელნიც თამარს სამონოდ მოჰმართვენ და სხ.

მეექვსე ოდა იწყება 59 ტაეპით. ამაოდ! მისს წინა ტაეპებშიაც (54-დგან, უმეტესად 56-დგან) სატრფო ოცნებობს თავისს გულზედ (მიჯნურზედ).

მერვე ოდა იწყება 76 ტაეპიდგან. წინა ტაეპშიაც, აქაც და ქვემოთაც დავითის სიგმირეზეა ლაპარაკი: „ეფრემის ძირთა ისართა მთლელი„ (ტ. 75), „ურჩთა კვლად ზინდანს (на наковальню) შემაყენალი“ (76).

მეათე ოდა იწყება მე-28 ტაეპის მესამე სტრიქონიდგან. გარნა ამ ტაეპის მეოთხე სტრიქონსა და მე-29 ტ. 1-ლს სტრიქონში მგოსანი ჰკითხულობს:

ვინ ნახა სადა,
ვინ ნახა სადა
შენებრ ნათელთა
ბნელი მცებარად?
ანუ ვის ესმის
ანუ ვის ესმის
და არა იქმნეს
განცვიფრებარე?

ყველა ეს გაუგებარი რჩება **უპირველ სტრიქონად** მე 28-ე ტაეპისა. იქ-კი და იმას ზევითაც ლაპარაკია თამარზედ: თამარ,

შენსასა დარსა
შენსა სადარსა
ვერა ვჰვრეტ ცხადად
და ნახსოვნებად:
ვინ ნახა სადა...
შენებრ ნათელი
ბნელი*) მცებარად?
ანუ ვის ესმის...
და არა იქმნეს
განცვიფრებარე?

მეთორმეტე ოდა ავტორს შეუდგენია შემდეგის ნაკუწებისაგან: 87 ტაეპის 1, 2 და 3 სტრიქონ., 4-ის 1, 3, 4 სტრ., 53-ის 2 და 3, 90-ს 2 სტრ., 91-ის 1, 53-ის 1, 7-ის 2, 3, 52-ეს 2 და 4, 84-ეს 4, 52-ეს 1, 54-ეს 4, 87-ეს 3, 4, 88-ეს 1, 2, 89-ს 1, 4, 8-ის 2, 3, 4, 9—18, 19-ის 1 და 2 და სხ.

ტაეპების ამ გვარ შლით და ესრეთის მეთოდით ძველის მწერლის ნაწარმოების აღდგენა ჩვენ შეუსაბამოდ მიგვაჩნია.

თუ მაინცა და მაინც საჭიროა ამ ერთეულის თხზულების დაყოფა, იგი უნდა დაიყოს არა 12 ოდად და ისიც არა ტაეპებისა და სტრიქონების გადასხმ-გადმოსხმით, არამედ შიგა და შიგ (სულ ორიოდ-სამიოდ ადგილას) ხაზისა ანუ ჯვრის ჩასმით, საჩვენებლად იმისა, რომ წინად ნათქვამს ხსნის მის ქვემოდ ნაამბობიო.

წინა წერილში უკვე შევნიშნეთ, რომ პატივცემულს მარრს არ ვეთანხმებით თვით ზოგიერთ ლექსის გაგება-ახსნაშიო. მოგვყავს აქ კიდევ რამდენიმე მაგალითი.

95 ტაეპის მეორე და მესამე სტრიქონები მარრით (გვ. რიე):

მცრობსა აქილევს,
მბრძოლთა აქ ილევს,
რა მძლედ ავადის
მოხსენებანი.
ახალო ხვასრო,
ბაღდადით სპარსო,
ააევლესო
დასვენებანი.

ამ მართლ-წერით ჩვენ ვერა გავიგეთ-რა.

ჩუბინაშვილით:	**ჩვენით:**
მცრობს აქა ალევს,	მცრობს აქა ალევს,
მბრძოლთ აქა ალევს.	მბრძოლთა ქაალევს
რა მძლედ ავადის	რა მძლედ ავა, დის
მოხსენებანი.	მოხსენებანი:
ახალო ხვასრო,	„ახალო ხვასრო!
ბაღდადით სპარსო,	ბაღდადით სპარსო
ააევლესო	ააევლესო,—
დასვენებანი.	დასვენ ებანი!“

დავით მეფე აქ მცრობს ალევსო (ალევი—სოფელია ქართლში), ქაალევის (ხალეპის) მბრძოლთა საძლევად რომ წავაო და დაამარცხებს მტერსო, მყის მოდისო მოხსენებანი:

---

*) ბნელი—ხორციელი.

ფულო სეზონის დროს. ამ დროს იქ ალ-ძალი მოქეიფე ხალხი იყრის თავს და ბევრნი არიან ხოლმე ისეთნი ქალნი და კაცნიცა, რომელნიც ერთმანერთის არშიყობითა და ტრფიალით ერთობიან.

ა. ს.

ავსტრია-უნგრეთი. ბუდაპეშტიდგან ატყობინებენ გერმანულ გაზეთებს, რომ აგრამიდგან გააძევეს 120 კაცი, უკანასკნელ არეულობის მონაწილეო; გარდა ამისა დააპატიმრეს ადგილობრივ სავაჭრო პალატის ვიცე-პრეზიდენტი კუტაკიო.

— ბელგრადის გაზეთები შემაძრწუნებელ ამბებს იუწყებიან ზაგრების უმწეო მართლ-მადიდებელ სერბების უკიდურეს შევიწროვებისა და ძალადობის შესახებ. ხორვატელთა მიერ იადენილმა უსასტიკესმა სიმხეცემ გაცილებით გადააჭარბა ალბანელების შეუბრალებლობას ძველს სერბიაშიო. მაგ., სერბიის ოფიციალურს გაზეთ „Дневникъ“-ში შემდეგი დეპეშაა მოყვანილი:

„ისევ მიჰყვეს ხელი სერბების განადგურებას [illegible] სისასტიკით. სადგომები სერბთა ბანკის დირექტორისა, სამეურნეო კავშირის მდივნისა, მასწავლებელ ნანჩისა, სერბთა ინვალიდებისა, აფიცრებისა, ვაჭრებისა და მოხელეთა სრულიად აკლებულია. გამხეცებული ბრბო ლეწდა და ამსხვრევდა კარ-ფანჯარებსა, უცვივდებოდა სერბებს ოჯახში, ანადგურებდა სახლის ყოველგვარ მოწყობილობას, ფეხით ათრევდა ლოგინიდგან თავზარდაცემულს, საცვლების ამარა, ქალებსა და ბავშვებს. სამსახურს გარეშე მყოფმა კაპიტანმა ვიტასმა, თავის დაცვის დროს, რევოლვერით ერთი მოჰკლა და ერთიც დასჭრა, მაგრამ სამაგიეროდ იმდენი სცემეს, რომ სიკვდილის ხელზედ დააგდეს. სტოიანოვიჩი და ომჩიკუსიც იარაღით იცავდნენ თავის თავსა და ოჯახობასა. ხორვატები იმუქრებიან, სრულიად უნდა გავჟლიტოთ სერბებიო. მფარველობას მათ ვერავინ უწევს: პოლიცია მეტად სუსტია, ჯარები-კი საიდუმლოდ არიან გასულნი“.

გაზეთი „Београдское Новине“ იუწყება, თითქმის ყველა სადგომები, მაღაზიები და სასტუმროები ზაგრებში სრულიად განადგურებულიაო, განადგურებულია აგრეთვე შენობა სერბების სალიტერატურო საზოგადოებისა; მოკლულთა და დაჭრილთა რიცხვი მრავალიაო.

იტალია. გაცხარებულის კამათის შემდეგ იმოლის სოციალისტთა კონგრესზე გაიმარჯვა ზომიერ მიმართულების დასმა, რომელსაც ხელმძღვანელობდა დეპუტატი ტურატი; მის აზრს მიემხრო 417 კაცი; შეურიგებელთა ჯგუფის მეთაურს ფერარის-კი მხოლოდ 275 ხმა ამოუვიდა.

მაკედონია. სკოპიიდგან დეპეშით ატყობინებენ „Београдское Новине“-ს, ადგილობრივი მკვიდრი ქრისტიანები თავზარდაცემულნი არიან, რადგან სკოპიის მიდამოებში ისევ მიჰყვეს ხელი ქრისტიანეთა ჟლეტა-ხოცვასაო. სოფელ კუჩკოვოში ოსმალებს ორი ძმა ქრისტიანი მოუკლავთ; სოფელ ბრეზნიში სამი ახალგაზდა ქრისტიანი მოკლულები თურმე შემზარავს სურათს წარმოადგენდნენ: ხელები უკან ქონდათ გაკრული ყელი გამოჭრილი თავები ქვით გაჭეჭყილი და ტანი ხანჯლით დაშუშრული. ოსმალები ისე არიან გაბრაზებულნი, რომ სახალხოდ ჰქადაგებენ ქრისტიანეთა გაჟლეტას. ადგილობრივი მთავრობა სრულიად გულგრილად შეჰყურებს ამ ამბებს და არაფრითარ ღონეს არ ღონობს, რომ ფადიშაჰის ქრისტიან ქვეშევრდომთ რაიმე მფარველობა გაუწიონ და გამხეცებულ ბრბოს შურის ძიებისაგან იხსნან.

ოსმალეთი. სტამბოლიდგან ბულგარული გაზეთი „Вѣсти“ იუწყება, ხონთქრის ბრძანებით ნება მიეცა სტამბოლის რუსულ საარხეოლოგო ინსტიტუტის დირექტორს პროფესორს უსპენსკის დაათვალიეროს ოსმალეთის სატახტო ქალაქის ძველი უბნები და ფოტოგრაფიულად გადაიღოს იგინი.

სხვა-და-სხვა წერილები

კიდევ ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის შესახებ.

(ბ-ნ ლედვნარელის წერილის გამო).

ამ წლის „ივერიის“ № 60-ში დასტამბული იყო ბ-ნ ლედვნარელის წერილი შემდეგის სათაურით: „ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის ზარალელ კლასების დახურვის გამო“. ამ წლის „ივერიის“ № 12-ში ჩვენ მიერ გამოთქმული მოსაზრება სასწავლებლის მოთხოვნილებების შესახებ პატივცემულს ავტორს უსაფუძვლოდ მიაჩნია. თავის აზრის დასამტკიცებლად, არ ვიცით, რად იკადრა ავტორმა ფაქტების შეთხზვა და გამახინჯება! ნუ-თუ აქვსი თვის გასამართლებლად ვერ შეისწავლა რიგიანად საქმეების გარემოება, რომ მკითხველი შეცდომაში არ შეეყვანა?!

ჩვენ ვამტკიცებდით, რომ ქუთაისის სასულიერო სასწავლებელი არაფრით არ ჩამოუვარდება საეგზარხოსოს არც ერთს სასულიერო სასწავლებელსა. ამის წინააღმდეგ, მაუხედავად ჩვენ მიერ აღნიშნულ ფაქტისა, ბ-ნი ლედვნარელი დაცინვის კილოთი ბრძანებს: „ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებსო“. შემდეგ განაგრძობს: „თუ მართლა კარგად იყოს საქმე, რისთვის დაითხოვეს ამას წინად თითქმის მთელი კორპორაცია მასწავლებლებისა ორის უფროსით? რისთვის გამორიცხეს შემდეგ ამასა მეორე წელს სასწავლებლიდგან 95 შეგირდიო“? ჯერ ერთი, რომ ეს სტატისტიკური ცნობა გახლავთ ნაყოფი ფანტაზიისა. 95 მოწაფე 1900 და 1901 წლებშიაც არ გამორიცხულა. თუ ნამდვილი ცნობა გამორიცხულ მოწაფეთა რაოდენობაზედ ბ. ლ. სხვა საშუალებით ვერ გაიგო, „საქართველოს საეგზარხოსოს უწყებაში“ *) მაინც ჩაეხედნა. მართალია 1900 წელს სამოცამდე მოწაფე გამოირიცხა, მაგრამ ამის მიზეზი სასწავლებლის დაქვეითება-კი არ ყოფილა, არამედ ის გარემოება იყო, რომ უკანასკნელ რევიზიის შემდეგ სასწავლებლის მთავრობამ ფიცხელი ბრძანება მიიღო შესახებ სასწავლებლის წესდების დაურღვევლად ასრულებისა. ხსენებული წესდება მოწაფეების გამორიცხვის შესახებ ამბობს:

„а) Не допускать пребыванія учениковъ на томъ или другомъ повторительномъ курсѣ болѣе одного раза, какъ равно ограничивать число случаевъ, когда-бы, напр., ученикъ, бывшій на повторительномъ курсѣ въ I классѣ, и переведенный затѣмъ во второй классъ, оставленъ былъ на повтор. курсъ и въ семъ послѣднемъ классѣ и допускать таковые случаи только въ видѣ исключенія изъ общаго правила, вслѣдствіе какихъ-либо особенно уважительныхъ обстоятельствъ, напр., вслѣдствіе болѣзни (Журн. Уч. ком. при Св. Сѵнодѣ за 1874 г. 207 ст.); б) Св. Сѵнодъ опредѣленіемъ своимъ отъ 5 сент. 1890 г. за № 2071, постоновилъ разъяснить Правленіямъ дух. училищъ, чтобы они (Правленія) при оставленіи учениковъ на повторительный курсъ въ тѣхъ или другихъ классахъ училища принимали въ разсужденіе возрастъ ихъ, строго сообразуясь съ требованіями § 114 устава духов. семинарій (Цирк. № 8) и в) Въ каждомъ классѣ училища должно быть не болѣе 40, а въ приготов. классѣ 50 учениковъ (§ 78 устава дух. учил.).

რადგანაც ამ უკანასკნელ რევიზიამდე სასწავლებლის მთავრობა, შედიოდა რა მოწაფეებას და მათ მშობლების მდგომარეობაში, იძულებული-ხდებოდა წესდების ზემო აღნიშნულ პარაგრაფებისათვის გვერდი აეხვია ხოლმე,—ამიტომ იმისთანა მოწაფეების რიცხვი, რომლებიც წესდების ძალით უნდა გამორიცხულიყვნენ, ძრიელ გადიდდა და ამის შემდეგ განა გასაკვირველია, რომ 1900 წ. (რევიზიის შემდეგ) სამოცამდე მოწაფე გამოირიცხა? ნუ-თუ მხოლოდ გამორიცხულ მოწაფეების რაოდენობით შესაძლებელია სასწავლებლის ავ-კარგიანობის გამორკვევა? წარმოვიდგინოთ, რომ რომელისამე სასწავლებლიდგან გამოირიცხა ყველა სუსტად მოსწავლე მოწაფე, რომელთა რიცხვი, ვსთქვათ, ასამდეა და რიცხვი ყველა მოწაფეებისა 600. ასეთი სასწავლებელი ბ. ლ. აზრით დაცემულია, ჩვენ-კი იგი რიგიან სასწავლებლად მიგვაჩნია, რადგანაც სუსტი მოწაფეების რიცხვი მხოლოდ 17% შეადგენს და კარგი მოწაფეებისა კი 83%. იმ დროს, როდესაც ბ. ლ., თქვენას სიტყვით აყვავებული იყო ხსენებული სასწავლებელი, ე. ი. 1882 წელს, ზემო-აღნიშნული ერთად ერთი უკანასკნელი 78 პარაგრაფი დაურღვევლად ესრულებინათ, მაშინ უნდა გამორიცხულიყო 65 მოწაფე და თუ ყველა ზემო-აღნიშნულ პარაგრაფებს ასრულებდენ—ორი ამდენიც *).

რაც შეეხება სასწავლებლის კორპორაციის დაწიოკებას, ფრიად სამწუხაროდ მიგვაჩნია, რომ ბ. ლედვნარელს თავის შემცდარ აზრის დასამტკიცებლად ეს ფაქტი მოჰყავს საბუთად.

ჩვენ ვამბობდით სასწავლებლის ეკკლესიის სივიწროვეზედ და ვურჩევდით სამღვდელოებას ბაგრატის ტაძრის ნანგრევების მახლობლად ცალკე ეკკლესია აეშენებინათ. ბ. ლედვნარელი-კი ამტკიცებს, სასწავ. ეკკლესია ისეთი ვრცელია, რომ მასში მთელი სასწავლებლის მოწაფეები თავისუფლად მოთავსდებიანო. ამის დასამტკიცებლად მოჰყავს ფრიად საინტერესო ფაქტი. თურმე 1883 წ., გაკვეთილებ შორის, ქუთაისის სასწავლებლის ყველა შეგირდები შეუყვანიათ სასწავლ. ცარიელ ეკკლესიაში, დაუყენებიათ მწყობრად და აღმოჩენილა, რომ ყველა შეგირდები, რომელთა რიცხვი ბ. ლედვნარელის სიტყვით 641 ყოფილა, თავისუფლად დატეულან ეკკლესიაში. ჩვენც ლედვნარელსავით ფიცი გვწამს და ბოლო გვაკვირვებს“. ექვსას ორმოც მოწაფეს თავი დაანებოთ, მობრძანდით და ხუთასი მოწაფე თავისუფლად მოათავსეთ სასწავლებლის ეკკლესიაში! შარშან წინ სინოდალურ კანტორის არხიტექტორმა ბ. ბილდფელდმა შეამოწმა ხსენებული ეკკლესია და შემდეგი სთქვა: ამ ეკკლესიაში მხოლოდ 150 მოწაფის დასატევი ადგილიაო და გაჭირვებით შეიძლება 200-დე მოათავსოთო“. ახლა სასწავლებლის ეკკლესიაში მხოლოდ ზემო კლასების მოწაფეები, რიცხვით 260, დაარებიან და ისეთი ვიწროობაა, რომ თავისუფლად პირჯვარს ვერ ისახავენ. ლედვნარელის დროს-კი, თურმე, 641 ემაწვილი ეტეოდა.

ბ. ლედვნარელი ბრძანებს: „ბაგრატის ტაძრის მიდამოს მოხირგვლა არ არის კარგიო“. ამაზედ ჩვენც თანახმა ვართ.

მოსამზადებელი კლასების ბინა, როგორც წინა წერილშიაც ვამბობდით, უვარგისია, მაგრამ ბ. ლედვნარელს არ სჯერა და ამბობს; «მარტო ორი მოსამზადებელ კლასის ბინა არის ცოტა ნაკლები, სხვებს არა უშავს რაო“.

წინად ქვემო სართული ჩვენის სასწავლებლის შენობისა სამის მხრივ მიწაში იყო დამალული. განსვენებულმა ასათიანმა (ზედამხედველმა) აქიდგან მიწა გამოაღებინა, კარები და ფანჯრები გაუკეთებინა და ამ ქვედა სართულში მოსამზადებელი კლასები მოათავსა. ოთახებში კოჭები მიწაზედ არის დაწყობილი, ჭაერს სამუშაო ადგილი არა აქვს, რის გამო ოთახებში მუდამ მმორის სუნი დგას. კარები პირდაპირ ეზოში გამოდის და ავდრიანში იატაკი მუდამ სველია, რადგანაც მოწაფეები სველის ფეხით პირდაპირ კლასის ოთახებში შედიან. ამას გარდა, საკლასო ოთახები ფრიად ვიწროა და შეუსაბამო გიგიენის მხრივ.

ა. გ.

---

*) იხ. შემდეგი ნომრები ხსენებულის გაზეთისა: №№ 12 და 13—1900 წ. და № 13 1901 წლ.

*) სემინარიის წესდების 114 პარაგრაფის ძალით სემინარიაში არ მიიღებიან ის მოწაფეები. რომელთა წლოვანება 18 წელს აღემატება.

თეატრი და ხელოვნება

სხვავა (რაჭის მაზრა). აქაურმა ინტელიგენტებმა განიზრახეს წარმოდგენის გამართვა. ეს ორი წელიწადია, რაც ისინი ამ აზრის განხორციელებას გულმოდგინედ სცდილობდნენ, მაგრამ არ იქნა, არა ეშველა-რა, ხან ქალი ვერ იშოვეს, ხან ნებართვას ვერ იღებდნენ, ხან რა ელობებოდათ წინ და ხან რა. ამ ზაფხულს-კი გაორკეცებულის ენერგიით შეუდგნენ საქმეს და სასურველადაც მოაწყეს. ქალები, ლანდია და მხეიძე გულმოდგინედ მიეკიდნენ ნება-ყოფლობით ნაკისრ მოვალეობას და იმედი იყო საქმე სრულის გამარჯვებით გათავდებოდა. აიღეს ნებართვა, ვისგანაც ჯერ იყო და დაიწყეს სცენის მზადება. სცენა სკოლის დარბაზში უნდა მოეწყოთ. მაგრამ აქ გაჩნდა ბ-ნი მზრუნველი სკოლისა ნიკო პეტრიაშვილი, რომელმაც ჯერ ნება მისცა და მერე-კი მოინდომა თვისის უფლების გამოჩენა: დაკეტა სკოლა და აღარავის უშვებდა შიგ. ალბად ხვეწნა უნდოდა. მეტი გზა არ იყო, შეეხვეწნენ და ბევრმა თხოვნა-მუდარამაც გასჭრა, მზრუნველი რისვაი-ვაგლახით დასთანხმდა, მხოლოდ იმ პირობით-კი, რომ ქირა გაეღოთ. რა უნდა შემოსულიყო იმდენი, რომ სამი მანეთი ქირა, რომელსაც მზრუნველი ითხოვდა, გაესტუმრებინათ. ბევრს ეჳვეწნენ, მაგრამ ის თავისას გაიძახოდა: „ამ ათის წლის წინად აქ ერთმა ფოკუსნიკმა რაღაებიც ითამაშა და ქირა მამცაო“. ბევრი უმტკიცეს, რომ ფოკუსებსა და წარმოდგენას შუა დიდი ზღვარიაო, მაგრამ ვერა გააწყეს-რა. ქირა აღუთქვეს.

სცენად საფიცხობლის ფიცრები უნდა დაეწყოთ. გამოიტანეს ერთი სოფლიდგან ფიცრები და დაჰყარეს სკოლის ეზოში. გაჩნდა საიდგანღაც პატრონი და, თუმცა წინად თანახმა იყო ფიცრების წაღებაზე, ახლა-კი მორთო უშვერი ლანძღვა-გინება.

ბ-ნი მამასახლისი არა თუ თანაუგრძნობდა წარმოდგენის გამართვას, წინააღმდეგიც იყო. ჩუმად იძახოდა: „არ გვინდა თქვენი თეატრი, დაგვანებეთ თავიო“.

როცა ყველაფერი რიგზე მოაწყეს, ბ-ნი მამასახლისი თავისას არ იშლიდა და ისე რიხიანად გაიძახოდა, როგორც მხოლოდ სოფლის მამასახლისს შეჰფერის: „მე შემიძლიან ახლაც მოგისპოთ თეატრი, ახლავე აგიკრძალოთ, მე პოლიცია ვარ, აქ „პრისტავზე“ მეტი უფლება მაქვსო“. ტყუილებით გაბერილი კვეხნა-კი იყო ღვთის წინაშე: წარმოდგენისა ამ დროს ისე აღარა ეკითხებოდა-რა, როგორც ონელს ჟურიას.

ეხლა თითონ წარმოდგენაზე ვილაპარაკოთ. წარმოადგინეს „დატრიალდა ჯარა“ და „ადვოკატი მელაძე“. მშვენივრად შეასრულა ტიტინას როლი ქ-ნმა ს. ლანდიამ. უკეთესი თამაშობა პროვინციაში-კი არა, ტფილისის სცენის მოყვარულთა წარმოდგენაშიაც იშვიათად გვინახავს. კარგად შეასრულა მარინეს როლი ქ-ნმა მხეიძემ. შესაფერად შეასრულეს თავისი როლები ვ. ბაქრაძემ (კოტე) და ვ. გოცირიძემ (მელაძე). ვლ. გონგაძე ნამდვილი მოსამართლე იყო. დანარჩენებიც თავ-თავის ადგილას იყვნენ და მწყობრად ჩაატარეს როლები. მაყურებლები ძლიერ ნასიამოვნები დარჩნენ. შემოსავალი სხვავის მომავალ ბიბლიოთეკისთვის იყო გაცადებული და 18 მანეთი დარჩა. მართალია, სხვავის ინტელიგენტებს ამით „ყარსის ციხე“ არ აუღიათ, მაგრამ ისეთის მოძულებულ სოფლისთვის, როგორც სხვავაა, ესაც დიდი ნაბიჯია ხალხში განათლების გასავრცელებლად. იმედი ვიქონიოთ, რომ ამაზედ არ შეჩერდებიან და შემდეგშიაც არ დაიშურებენ შრომას ხალხის სამსახურისთვის.

იქაური.

თამარ მეფეო (=ახალო ხვასრო), ბაღდადით სპარსეთამდე დაიპყრესო („აევლესო“) შენმა მეომრებმა, გაიხარენ და დასვი მკვრელ მომღერალიო („ებანი“) *).

მართლაცა, ქალევის მფლობელი ლაღი ნუქარდინ საშინლად შემუსრა დავით სოსლანმა და თვისი გამარჯვება აუწყა თამარს, რომელიც ბრძოლის ველიდგან ამბის მოსვლამდე ღამის თევით ლოცულობდა და, რომ შეიტყო ძლევამოსილება ქართველთა, ყველა ტაძრებში სამადლობელო პარაკლისი გადაახდევინა. „ბაღდადით სპარსეთამდე და ინდოეთამდე“ აკლება ანუ აქაურ მეპატრონეთა შეკრებილი ლაშქრის ძლევა დავითისაგან მოთხრობილია აგრეთვე ქ. ცხოვრების 307 კაბადონზე.

მე-94 ც. მეორე სტრიქონი მარრით:

ბედდიდობს მრავლად,
აქვს სვე დიდ დავლად:
პონტის ზღვისითგან
არს უფლებანი.

ჩვენ არ გვესმის, კაცს როგორ ექმნება „სვე დიდ დავლად“. ჩვენ ვეთანხმებით ჩუბინაშვილის მართლ წერას:

ბედ დიდობს მრავლად,
აქვს სვე დიდ ვალად:
პონტის ზღვისითგან
არს უფლებანი,

და შემდეგ

უძრწის შამალი (=შამელი=ასურელი),
ევლტვის ხალიფა,
იტყვის შარიფა:
„აწ გაგვიცუდდა
სჯულის-დებანი“.

თარში და დალბი ძლევენ უგზავნიან, ქალეპოს სძლევს, ბობაქარს აოტებს ოსი (დავით სოსლანი)... ყელა ეს დიდი სვე-ვალია და არა დავლა!

28 ც. მეორე სტრიქონი მარრით:

ვინ ნახა სადა,
ვინა ხასადა
შენებრ ნათელთა
ბნელი მცებარე?

არ გვესმის! წაიკითხეთ ასე (იხ. ჩუბინაშვილის გიმოცემაში ტ, 109):

ვინ ნახა სად ვინ,
ნასახად სად ვინ,
შენებრ ნათელთა
ბნელი მცებარად?

შენებრ ნათელთა ნასახად ბნელი ვინ სად ნახა ზეცაზეო.

მარრით (ტ. 31)

ვის აქვს შენებრი
—ვიჰ!—ნაქვს შვენებრი,
ქცევა, გონება,
სული მწლფებარე?

ჩუბინაშვილით:

ვის აქვს შენებრი,
ვის აქვს მშვენებრი
ქცევა, გონება,
სული მწლფებარე!

მარრით ტ. 43)

ამან თავი რად
მართ აზავირად
შექმნა ლეილის
ნამიჯნურევად.

ჩვენით:

ამან თავი რად
მართა? ზავი რად
შექმნა ლეილის
ნამიჯნურევად?

თავი რად ამართაო და ლეილის სამიჯნურო ზავი რად იწყოო. ზემო-ქვემო ტაეპებშიაც მიჯნურობასა და სატრფიალოთა წვა-დაბნედაზეა ლაპარაკი.

მარრით (გვ. რით)	**ჩვენით** (ტ. 31)
წუხად ანელმან	წუხა დინელმან,
რა სთქვა ან ელმან:	რა სთქვა ანელმან
დღეს მუსულმანთა	დღეს მუსულმანთა
მოსანთებარე.	მოსანთებარე?
	(ის სთქვა, რომ)
აგარის ერთა	„აგარის ერთა
სალმობიერთა	სალმობიერთა
სხვამკა ვინ იყოს	სხვამცა ვინ იყოს
სრვად შემძლებარე?	სარკედ [1]) მძლებარე?
არ მით ავნებდა;	„არ მით ავნებდა,
არ მითავნებდა,	არ მითა ვნებდა,
რომე სჩანს ლომებრ	რომე სჩანს ლომებრ
შემძახებარე.	შემძახებარე?!
ოს დიდმან დავით	ოს-დიდმან დავით
ოს დიდმან დავით	ოს დიდმან დავით [2])
ფარეზ შემუსრა	ფარეზ შემუსრა
წინამგებარე.	წინამგებარე.
მან გლისპი რითა?	„მანგლის პირითა [3])
მანგლის პირითა	მანგლის პირითა [4])
ოდენ მუნით ჰყო	ოდენ მუნით ჰყო
ძეოტებარე.	მეოტებარე.
შენ მისნი ერნი!	„შენ მისნი ერნი,
შენ მისნი ერნი	შენ მისნიერნი
გარნისს მამისხმნა,	გარნისს მამისხმნა,
მით მე მქებარე.	მით მე მქებარე!
გამცრობს ერაკლე:	„გამცრობს ერაკლე:
სპარსთა ერ აკლე,	სპარსთა ერ აკლე,
მოსწვენ, მოსწყვიდე,	მოსწვენ, მოსწყვიდე
ანათე ბარე.	ანათებარე.
წაუღე რანი,	„წაუღე რანი,
წა, უღერანი	ჭაუღ ერანი [5]):
ყელსა დასახენ	ყელსა დასახენ
ჩამომდებარე:	ჩამომდებარე
მიუშვენოდეს!	„მიუშვენ ოდეს,
მიუშვენ ოდეს	მიუშვენოდეს
ამბერდად, რად ვსთქვნე	ამბერდად,—რად ვსთქვნე
იგი მებარე?	იგი მე ბარე!“

წუხელ ანის ეპისკოპოს დანიელმან რა სთქვა, რა იკითხაო შესახებ მაჰმადიანების დასაწველ-მოსანთებარისაო? ისაო, რომ სხვა ვინ არის აგარის ერთა მძლევიო, იმის მეტი, რომელიც ლომებრ შემზახებარიაო, რომელმაც (ოს-დიდმან) ბრძოლით („დავით“) მოსეული მტერი შემუსრაო, მანგლისის პირით აოტაო. თუ თამარ, მისი ლაშქარი გარნისსაც შემოუტიე, შენი მქებარი ვიქნებიო. ნუ გამცრობს ერაკლე იმპერატორიო, (რომელმაც სპარსთა ხელმწიფე ხოსრო შემუსრა), მიდი სპარსეთს, იქაური ერი მოაკელ, მოსწვი, მოსწყვიტე, აენთე, წაართვი რანი და ერანი, ჩამოგდებულს ყელს დაამსგავსეო (ყელ ჩამოგდებულად გახადეო). ოდესღაც შენ რომ ნება მიეც ჯარს, მიუშვენოდად ამბერდად,—ამას რაღად ვიტყვიო.

ამ ანელის ნაწინასწარმეტყველებისათვის გამოვიზოგეთ მე-24-ე ტაეპი შავთელის „აბდულ-მესიანისა“ და ამ ტაეპში-კი, ვითარცა ჩახრუხაძისეულს 31 ტაეპში, მოხსენებულია ოსი (დავით სოსლანი). ეს ტაეპი (ტ. 24 შავთელისა) ერთხელ და სამუდამოდ აქარვებს იმ ეჭვის ნასახსაც-კი, რომ ვითომ, აბდულმესიანში“ შექებული იყოს ალმაშენებელი და არა თამარი დავით-სოსლანით, ე. ი. ის პირნი, რომელთა სახელები ამ თხზულებაში არა ერთგან მოხსენებულია.

აი ეს მე-24-ე ტაეპი „აბდულ-მესიანისა“:

ჰბრძანონ სამალად (ჩქარა, მალედ),
ართუ სამალად (სამალავად, იდუმალ),
ელია მოსით (ილიამ და მოსემ),
ესრომ არამით *):
მასთანა შორად (თამართან შორად)
ართუა შორად
ელი **ამ ოსით**? (ელი=ერი)
ეს რომა რა მით,
ქველად ჰერით-ა (რს),
რისხვით ჰერით-ა (რს)
ელი **ამ ოსით**.
ეს რომა-რა მით (დავითით),
მას (ერს) არა რითა
მას არა რითა
ელია (გამოელია) მოსით (ჩაცმა-დახურვით)
ეს რომ არამით **) (გან მოკიდებული).

თუ ესეც არ კმარა, ქვემოდ კიდევ ბევრს ვნახავთ იმის დამამტკიცებელს მაგალითებს, რომ შავთელს უქია თამარ და დავით და არა დავით აღმაშენებელი.

მ. ჯანაშვილი.

---

*) ყოველ გამარჯვების შემდეგ დავითი მახარებელს უგზავნიდა თამარს. (ქ. ცხ. გვ. 318). „წარმოგზავნა მახარებელი მეფეს წინაშე და დიდად დაიმადლა... მოაკლდებოდა მაჰმადიანთ ქცემელი ებანსა, ორღანონი ქრისტიანეთა ხმოვანობდეს კიდით კიდემდე“.

[1]) Образчикомъ.

[2]) ბრძოლით.

[3]) ნამგლის პირით.

[4]) მანგლისის პირით.

[5]) თამარის შეწირულობის პიტაკი (ქ. ცხ. გვ. 310): „... ხალიფას დროშას თანავე მანიაკსა შევრთე ცრუ-სჯულთა მოძლვრისა ღაზოდ მძლვანი, ვინ დავით, ძეებრ ეფრემის მოისარმან,

მოირთხნა, მოსრნა სულტანითა-ათაბაგი;
ირანს ებრძოდეს ჩემ-მიერ მისთა სპათა,
ჩვენნი მხედარნი, მოსავნი შენნი, სძალო,
მოსწყულნეს, მოსწყვიტნეს აგარის ნათესავნი“.

თვით ქრისტეს მტერნი ამბობდნენ ქართველების შესახებ: „ერაყსა, ადარბადაგანს და ერანს ამათებრ მობურთალნი არ დარჩომილ არიანო“. (იქვე, გვ. 303(დავითმა რომ ათაბაგი შემუსრა, დიდ-დიდ ამირებს ბაღდადისას, მოსულისას, ავრისას, ერაყისას, ადარბადაგანისას, ერანისას და სხ. ინდოეთიდგან მოკიდებული, ვით ქათამს ეგრე იპყრობდნენ და მოჰყავნდათ დავითის წინაშე და არა თუ მოჰყავნდათ, იგინი თვითვე მოეგებვოდნენ ყმურად (იქვე, 307). ამიტომაც ამბობს შავთელი (ტ. 60): თქვენ გაქვბს ინდოეთი, კვირინ, გუთეთი, არიელ (ავრიელ?) ფოტელი, აბაშზაბაში, ბასრი, ერანი.

*) ესრომმა და არამმა: „იუდა შვა ფარეზ და ზარა თამარისაგან, და ფარეზ შვა ესრომ; ესრომ შვა არამ“ (მათე, 1—3). „ოს-დიდმა დავით ფარეზ შემუსრა წინა-მგებარე“ (ჩახრუხ., ტ. 32).

*) ესრომ (მცირე აზია), ისრომ (რომი), ვითარცა ესპირ, ისპირი. შუამდინარეს და, საზოგადოდ, მცირე აზიას თურქები რუმს, რომს უწოდებდნენ. არამი არის კელესირია (იხ. კიპერტის რუკები).

შემოწირულობა

ავ. ცაგარლის სახსოვრად ფონდისათვის შეკრებილი ბ-ნ იაკ. ნიკოლაძისაგან აბასთუმანში.

შემომწირველთა სია:

ტ. ქიქოძე 5 მ., ს. მელიქოვი 5 მ., გ. ბარკალაია 5 მ., კნ. სოფიო ამირაჯიბისა 5 მ., გ. ხელაევისა 5 მ., ბ. ბროძელისა 3 მ., კნ. ნაკაშიძისა 3 მ., დ. ხელთუფლიშვილი 3 მ., შ. და მ. დედაბრიშვილები 2 მ., ი. ჩიხკარია 2 მ., დ. ხოშტარია 2 მ., ს. ჯაფარიძე 2 მ., ევგ. კანდელაკი 2 მ., გრ. ოგანეზოვი 2 მ., მიხ. ანთალავა 2 მ., ლორთქიფანიძე 1 მ. 50 კ., ი. ნიკოლაძე 1 მ., ეკ. მესხისა 1 მ., კნ. ანასტ. მაჩაბლისა 1 მ., დ. ხელთუფლისშვილი 1 მ., კნ. მაქსიმენისშვილისა 1 მ. კ. ბრილივსკისა 1 მ., ვანლიარსკისა 1 მ., კნიაჟნა ლ. თარხნიშვილისა 1 მ., ნ. ჯიჯიშვილი 1 მ., ვ. რუხაძე 1 მ., ან. მურმანოვისა 1 მ., კნ. ნინო თავდგირიძისა 1 მ. ევგენი მ. 1 მ., დიმიტრი ქლენტი 1 მ., ნიკო დიმიდაშვილი 1 მ., ივლიანე შარვაშიძე 1 მ., ბ. ბახიძე 1. მ., ანეტა კემულაძისა 1 მ. ჯამი 67 მ. 50 კ. პანაშვიდის და დეპეშის ხარჯი 4 მ. 50 კ. დანარჩენი 63 მან. გადაეცა ქართულ დრამატ. საზოგადოების გამგეობას.

„ივერიის“ ფოსტა:

სოფ. თარგამეული, სპ. ხვიჩიას: თქვენი ღია წერილი არ დაიბეჭდება. საკამათო საგანი საკმაოდ გამოირკვა. სხვა რამ მოგვწერეთ.

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

3 სეკდემბერი.

პეტერბურგი. დაბრუნდა და თავის თანამდებობის ასრულებას შეუდგა შინაგან საქმეთა მინისტრი სტატს-სეკრეტარი პლევე.

ლონდონი. შანჰაის კორესპონდენტი დეპეშით აუწყებს „შტანდარტს“, „გუშინ ჩენგტიუფუს შეესივნენ ბოკსერთა გუნდნი. რამდენიმე კაცი მოკლულ და რამდენიმე დატყვებულ იქმნა. მაღაზიები დაკეტილია. ამბობენ, საქმე სჭირსო“.

სიმბირსკი. გუბერნატორად ნამყოფის აკინფოვის პატივსაცემლად სათავად-აზნაურო დარბაზში ხელის მოწერით გაიმართა სადილი. მონაწილეობა მიიღეს ყველა აქაურ დაწესებულებათა, თავად-აზნაურობისა, ქალაქის საზოგადოების წარმომადგენელთა და ბევრმა კერძო კაცმა.

ვილნო. სპარსეთის შაჰს საიმპერატორო მატარებლიდგან გამოსვლის დროს მიეგებნენ გუბერნატორი ფონ-ვალემი, კორპუსის უფროსები და გენერლობა. შაჰი მიესალმა ყველას, ჩამოუარა საპატიო ყარაულს და სპარსთა საერო საგალობლის დაკვრაზე ნაშუადღევის 1-ლს საათზედ გაემართა კურსკს მინსკიდგან.

კურსკი. დღეს დასრულდა დიდი ალლუმები სამხრეთ ლაშქრის თავდასხმით იმ ადგილსა, რომელიც ეჭირა ჩრდილოეთ ლაშქარს კურსკის დასავლეთით, სეიმისა და დიდის კურიცლის მდინარეთა იქით მხარეს. ხელმწიფე იმპერატორი დილის 8 საათ. ხელმწიფე მემკვიდრით, დიდის მთავრებით ვლადიმერ ალექსანდრეს ძით და ნიკოლოზ ნიკოლოზის ძით და ამალით რიშკოვოს სადგურიდგან წაბრძანდა მოსკოვის ლაშქრის სადგომისკენ სოფლის მაკვას ახლო. ხელმწიფე შებრძანდა ცხენზე და ჩამოუარა მე-17 და მე-13 კორპუსის ჯარებს. ხმა-მაღალი „ურა“ ისმოდა რაზმებიდამ. მშვენიერი დარი მეტის ეფექტით ჰმოსავდა ბრძოლის სურათსა. ხელმწიფის მობრძანებისას სამხრეთის ლაშქარი გადავიდა მდინარე სეიმს და მოსკოვის ლაშქრის პოზიციას თავს ესხმოდა. მერვე კორპუსი და კავალერიის დივიზია გაემართა მემარჯვენეთა წინააღმდეგ, სოფ. ხარდაკოვის მხრივ, სადაც ას ზარბაზნიანი ბატარეია იდგა. და მეათე კორპუსი (რომელიც სხვა-და-სხვა კორპუსის ჯარებისაგან შესდგებოდა) გაემართა სოფ. ჩერნიცინისა, ანახინისა და გოტოროვის მხრივ. მეთერთმეტე საათზე საზოგადო შებრძოლება მოხდა სოფელ კასტორნის მახლობლად. საზოგადოდ ჯარები შესანიშნავის გამბედაობით იქცეოდნენ. 10 საათ. ® 40 წ. ხელმწიფემ ბრძანა, რომ ჯარები შეჩერებულიყვნენ. ხელმწიფე იმპერატორმა, რომელსაც გვერდით ახლდნენ ალლუმების მთავარი შუა-კაცი მიხეილ ნიკოლოზის ძე და მხედართ-მთავარნი არმიებისა: ჩრდილოეთისა დიდი მთავარი სერგეი ალექსანდრეს ძე და სამხრეთისა სამხედრო მინისტრი გენერალ-ადიუტანტი კუროპატკინი, ჩამოუარა ჯარებს, რომელნიც ჯერ არ ღირსებოდნენ ხელმწიფის ნახვის ბედნიერებას. ხელმწიფე მიესალმა ჯარს, რომელიც საერთო აღტაცებულის „ურას“ ძახილით მიეგება მეფის მისალმებას. ამ ხმასვე უერთდებოდა კურსკიდან მოსულ მაყურებელ ხალხის ხმა. ხალხი გულწრფელ სალამს უძღვნიდა სათაყვანო მეფეს. შემდეგ ხელმწიფე იმპერატორი, სამეფო გვარეულობით და ამალით წაბრძანდა მემამულე ტულუბეევთან, რომელიც ხელმწიფე იმპერატორს მიეგება პურ-მარილით ყვავილებით შესანიშნავად მორთულ, კამარად-შეკრულ კარ წინ სოფ. კასტორნასთან. იქვე მინდორზე მომზადებული იყო საუზმე, რომელზედაც მიწვეულნი იყვნენ ჯარების უფროსნი და ახლო-მახლო ჯარის აფიცრები. შეგროვდა 4,000 აფიცრამდის. საუზმეზედ ხელმწიფე იმპერატორმა მიირთვა სადღეგრძელო ყველა იმ ჯარებისა, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ ალლუმში. აღტაცებულის „ურას“ ძახილით მიეგება ხალხი ხელმწიფის მოწყალე სიტყვებს. საუზმის შემდეგ ხელმწიფე იმპერატორი ხელმწიფე მემკვიდრის, დიდის მთავრებისა და ამალის თანხლებით გაემგზავრა ეტლით სოფელ მაკვაზე სად. რიშკოვოს.

პენზა. შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგი თ. სვიატოპოლკ-მირსკი ერთ დღეს დარჩა პენზაში და საღამოზედ ისევ განაგრძო მგზავრობა.

4 სეკდემბერი

კონსტანტინოპოლი. მეექვსე შესატანი ფული ლორანდო-ტუნინის ვალის გადასახდელად შეტანილ იქმნა. ვადა შეტანისა გუშინ იყო.

ვაშინგტონი. „სამეტეოროლოგო ბიუროს ყოველ კვირეულ ანგარიშში“ ნათქვამია, რომ გრილმა ამინდმა ხელი შეუშალა ბამბის შემოსვლას ზოგან, მაგრამ საზოგადოდ სწრაფად იკრიბება მოსავალიო.

ელისავეტოპოლი. შესდგა პირველი კრება საგუბერნიო კომიტეტისა სასოფლო-სამეურნეო მრეწველობის საჭიროებათა განჩხრობისათვის.

ტომსკი. აკურთხეს ახალი შენობა ამბულატორიისა, უნივერსიტეტის კლინიკებთან აგებული უნივერსიტეტის ხარჯი, შენობა დაჯდა 50,000 მანეთზედ მეტად.

პეტერბურგი. უმაღლესად დაარსებულ კომისია, რომელსაც ვალად აძევს მიიღოს ღონის-ძიებანი და იბრძოლოს შავის ჭირის გავრცელების ასაცილებლად, იუწყება, რომ ოდესაში 29, 30 და 31 აგვისტოს კვლავ იქმნა აღმოჩენილი 6 საეჭვო შემთხვევა ავადგახდომისა. სულ 28 მაისიდან ამისთანა შემთხვევა იყო 24, რომელთა შორისაც 6 სიკვდილით გათავდა. სიფრთხილისათვის შემდეგი ღონის-ძიებანი იქმნა მიღებული: დაიწყეს მუშაობა სანიტართა კომისიებმა შავის-ზღვის პირად მდებარე ხერსონისა, ბესარაბიისა, ტავრიდისა და ეკატერინოსლავის მაზრებში, დონის მხედრობათა ოლქში, სევასტოპოლისა, კერჩ-ენიკალისა და ნიკოლაევსკის გრადონაჩალსტვოში და აგრედვე რკინის გზის ლიანდაგის ორსავე მხარეს ოდესისა და რაზდელნაიას სადგურთ შორის, გაძლიერებულია სამკურნალო ზედამხედველობა ხერსონის გუბერნიის დაბა-სოფლებში და იმ ადგილებში, რომლებსაც ოდესასთან სავაჭრო ურთიერთობა აქვთ, დაწესებულია სასტიკი ზედამხედველობა იმ გემების სანიტარულ მდგომარეობაზედ, რომლებიც ოდესიდან დადიან რუსეთის პორტებში, ისინჯებიან პასაჟირები და გემების მოხელენი მკურნალთა მიერ, დაეკისრად დროებით გემების პატრონთ იყოლიონ მკურნალნი შავის ზღვის პირად მდებარე ყოველს პორტში სავალდებულოა მკურნალებმა გასინჯონ ხოლმე გემები, რომელიც შედიან იქ ოდესიდან.

პეტერბურგის ბირჟა, 3 სეკდემბერს.

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	94,00
ბერლინში 100 მარკაში	46,00
პარიჟში 100 ფრანკში	—
ლონდონში ჩეკები	94,70
ბერლინში ,,	—
პარიჟში ,,	37,57¹/₂
ბირჟის დისკონტი	4¹/₂—6¹/₂%
4% სახელმწიფო რენტა	97 გაყ.
4% სახ. სესხი 1902 წ.	99 მყიდ.
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა	—
5% 1-ლ შინგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	469 გაყ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	358¹/₂ წვ. გაყ.
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა.	293³/₄ წვ. გაყ.
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—
4¹/₂% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა.	82³/₄ გაყ.
5% ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ.	—
4¹/₂% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა.	—
6% ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
პაები ძმ. ნობელის სანავთო მრეწვ.	—
აქციები ,, „ „	—
,, კასპიის ამხანაგობისა.	—
,, ბაქოს ნავთის საზოგად.	—
,, ა. ი. მანთაშევისა და ამხ. ნავთის სამრეწვ. საზოგად.	—

სასამართლოს შესახები ცნობანი.

ტფილისის სამოსამართლო პალატის 1-ლ დეპარტამენტში 7 სეკდემბრისათვის დანიშნულია შემდეგ სამოქალაქო საქმეთა განხილვა:

1) დუტუ და ივან ჩემინავათა საკასაციო საჩივარი რუსუდან გვათუასა და დურუხან გიგიბერიას წინააღმდეგ გრ. კემულარიას ვალის გამო.

2) გვათია და ნესტორ კვარცხალიათა საჩივარი რუსუდან გვათუას და დურუხან გიგიბერიას მამულის აღწერიდან გამორიცხვის შესახებ.

3) გვათია და ნესტორ კვარცხალიათა და გრიგოლ კემულარიას დავა მამულის დარღვეულ მფლობელობის აღსადგენად.

4) შირვან და სანდრო ჩემინავათა საჩივარი რუსუდამ გვათუას და დურუხან გიგიბერიას მამულის აღწერიდამ გამორიცხვის შესახებ.

5) ნიკო კვარცხალიას საჩივარი რუსუდან გვათუას და დურუხან გიგიბერიას მამულის აღწერიდამ გამორიცხვის შესახებ.

6) ქვაბან ჯოლოგუას საჩივარი რუსუდან გვათუასა და დურუხან გიგიბერიას მამულის აღწერიდამ გამორიცხვის შესახებ.

7) ძვაძვაიას და სამსონ გაბუნიების საჩივარი რუსუდან გვათუასა და დურუხან გიგიბერიას მამულის აღწერიდამ გამორიცხვის შესახებ.

8) დუტუ და ივანე ჩემინავათა და გრიგოლ კემულარიას დავა მამულის დარღვეულ მფლობელობის აღსადგენად.

9) ალექსანდრე ამირხანოვისა, გიორგი სოფრონაძის და ვანო სანჩულაშვილის დავა 100 მანეთზედ.

ყოველ-დღიური საჭირო ცნობანი

რკინის გზის მატარებლების მიმოსვლა 18 აპრილიდგან 1902 წლისა

(საათი და წუთები უჩვენებენ ტფილისის დროს).

	მოდის ტფილ.	გადის ტფილ.
ბ ა ქ ო.		
სწრაფი მატარებელი (პარასკეობით)	3 ს. 43 წ. დღ.	11 ს. 49 წ. დილ.
ფოსტის „ (ყოვ.-დღე)	4 ს. 54 წ. დღ.	1 ს. 34 წ. დღ.
სამგზავ. „ „	8 ს. 37 წ. დილ.	8 ს. 22 წ. საღ.
ბ ა თ უ მ ი.		
სწრაფი მატარებელი (ყოველ-დღე)	10 ს. 2 წ. დილ.	7 ს. 43 წ. დილ.
ფოსტის „ „	12 ს. 32 წ. დღ.	6 ს. 7 წ. საღ.
სამგზავ. „ „	7 ს. 37 წ. საღ.	9 ს. 27 წ. დილ.
ყარსი და ალექსან.		
ფოსტის მატარებელი (ყოველ-დღე)	7 ს. 18 წ. დილ.	9 ს. 28 წ. საღ.
სამგზავრო და საქონ. (მხოლოდ ალექსანდროპოლამდე და ალექსანდროპოლიდგან)	4 ს. 35 წ. დღ.	3 ს. 13 წ. დღ.
ბ ო რ ჯ ო მ ი.		
სამგზავრო მატარებელი (ყოველ-დღე)	9 ს. 57 წ. დილ.	6 ს. 22 წ. დილ
სამგზავრო „ „	6 ს. 53 წ. საღ.	2 ს. 28 წ. დღ.

განცხადება

ქ. გორში

სამეფო ქუჩაზედ, არჩუაძის და მაისურაძის წიგნის მაღაზიაში ისყიდება, დაკლებულ ფასად, შეგირდებისათვის ყოველ გვარი სახელმძღვანელო წიგნი.

(30—6.—20)

„GRAND PRIX“
PARIS 1900.

Т-во Высшей парфюмеріи

А. Ралле и К°

„Парфюмерія Царскій Верескъ“

ტფილისის ქალაქის გამგეობა ამით იუწყება, რომ ამა წლის პირველ სეკდემბრიდგან გაიხსნა ერთი ვაკანსია გრაფი. მიხეილ ტარიელის ძე ლორის-მელიქოვის სახელობაზე საიმპერატორო უნივერსიტეტში დაარსებული იმ ღარიბ სტუდენტთათვის, რომელნიც კარგათ შეასრულებენ კურსს ტფილისის გიმნაზიებში, განსაკუთრებით ქალაქ ტფილისის მცხოვრებნი, განურჩევლად სარწმუნოებისა. ამ სტიპენდიის მსურველთ თხოვნა უნდა შემოიტანონ ქალაქის სამმართველოს 2—4 განყოფილებაში, აგრეთვე თხოვნასთან ერთად უნდა წარმოადგინონ მეტრიკული მოწმობის პირი და ამა წლის სექტემბრის მოწმობა უნივერსიტეტის მმართველობისა, რომ იგინი ირიცხებიან სტუდენტად რომელსამე უნივერსიტეტში.

თხოვნები მიიღება 25 სეკდემბრამდე,

(3—6—1)

ღვთის-მოყვარულთა ქრისტიანეთა მიმართ

სოფელი ნაღვარევი, რომელიც მთიულეთშია, დარჩა უეკკლესიოდ, ხალხი-კი აქ მეტად ღარიბია და დავიწყებული ყველასაგან. 100 კომლამდე მცხოვრებელია, მაგრამ ორასი კომლიც რომ იყოს, რა მოახერხოს ასეთმა ბეჩავმა ღარიბ-ღატაკმა მთიულმა ხალხმა? იქამდე ღარიბნი და საწყალნი არიან, რომ წლითი-წლამდე მათი საზრდო მხოლოდ სიმინდი და ქერია, რომელსაც ყიდულობენ ქ. კავკავში 110 ვერსის მანძილზედ და ტანჯვა-ვაებით გადმოაქვთ თავიანთ სახლში.

ამიტომ განვიზრახე მოგროვება ფულისა და აგება ეკკლესიისა. ამ აზრით გ ამოვითხოვე წიგნი მათ მაღალ-ყოვლად-უსამღვდელოესობის ალექსისაგან, რომ შეწირულებითა და შეწევნითა ხალხისათა აღვაშენო ნაღვარევის სამრევლოში სახლი ღვთისა, წმ. გიორგის სახე ლობაზედ. ვიმეორებ ამ თხოვნასა, ვბედავ და ვაწუხებ ყველა ღვთის მოყვარულ მართლ-მადიდებელ ქრისტიანეთა და ესთხოვ უმორჩილესად შემწეობა აღმოუჩინონ ამ წმიდა საქმესა.

ჩ ე მ ი ა დ რ ე ს ი:

Ст. Млеты. Воен.-Груз. дор., Т. губ. Сборщику доброхотныхъ пожертвованій на постройку новаго храма въ сел. Нагвареви, причетнику Алексѣю Арганашвили.

წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში იყიდება შემდეგი ახალი გამოცემული წიგნები:

	მ.	კ.
Краткій историческій очеркъ врачебнаго дѣла въ Грузіи, И. Алхазова	„	30
Тексты и разысканія по армяно-грузинской филологіи IV т. Н. Марра	3	„
О грузинскомъ и русскомъ алфавитахъ съ педагогической точки зрѣнія Я. Гогебашвили	„	[illegible]
Неестественность „естественнаго“ метода въ дѣлѣ обученія языкамъ Л. Боцвадзе	„	10
Бальваръ и Іодасафъ, А. Хаханова	„	60
Очерки по исторіи грузинской словесности, А. Хаханова в. III	3	„
Замѣтки о городскомъ самоуправленіи на кавказѣ Г. Туманова	„	60
Георгій XII, послѣдній царь Грузіи, Н. Дубровина	1	„
მეცნიერებისათვის წამებულნი, სურათებით, თარგმანი ა. ნიკოტინისა	1	„
ველურობა და განათლება, თარგ. ს. ჯუღელისა	„	30
ისტორია ბავშვის სულის მდგომარეობისა თარგმანი ა. ნატ. გიგაურისა	„	50
ბრძნული სიტყვები	„	10
წმიდა აბო ტფილელი	„	30
დაზარილით ტორმესელი, ესპანური მოთხრობა, თარგმ. ზ. უმიკაშვილისა	„	10
ტფილისი, მ. ჯანაშვილისა	„	50
თამარიანი, ჩოუმა ს. გუგუნავასი	„	50
ნამყენი ვაზით ვენახის მოშენება ს. ქვარიანისა	„	5
სურამის ციხე, დ. ჭონქაძისა	„	15
კონსტანტინე ბატონიშვილი, თ. ხუსკივაძისა	„	5
ზღაპრები სურათებით	1	„
ჰაწია და ბუნგლია, სურათებით თარგმანი დ. ავალიანისა	„	30
„შოთა რუსთაველი“ მ. ჯანაშვილისა	„	40
Царица Тамара, მისივე	„	50

წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში იყიდება ორი ახლად დაბეჭდილი წიგნი:

ყოველის მხრიდან

ეტიუდი სოფლის ცხოვრებიდგან არბოლისა

ფასი 10 კ.

და

მოთხრობანი

დავ. კლდიაშვილისა ფასი 30 კ.

ქუთაისის წყლისაყვანისა და ელექტრონის ტრამვაის

ამხანაგობის გამგეობა

აცხადებს, რომ შემდეგი მორიგი ვადა ამხანაგობის დროებით პაიების კვიტანციების I-ლი და მე-II სერიის ხვედრის შემოტანისა ახლოვდება (ამ წლის 10 სექტემბერს) და ამიტომ საყოველთაოდ აუწყებს, რომ ეს ხვედრი შემოსატანი მიიღება ქალაქ **ქუთაისში ამხანაგობის გამგეობაში**, აგრეთვე **ქუთაისის საურთიერთო საკრედიტო საზოგადოებაში**; **ტფილისში განსაკუთრებით სამეურნეო საკრედიტო საზოგადოების ბანკში**.

ნამდვილი და დროებითი (მე-III-ე სერიის) პაიების კვიტანციები ამხანაგობისა მსურველს შეუძლია შეიძინოს **ქუთაისში**: 1) ამხანაგობის კანტორაში, 2) საურთიერთო საკრედიტო საზოგადოების გამგეობაში, 3) მიხეილის საადგილ-მამულო ბანკის ხაზინადრის თავ. ი. ა. მიქელაძესთან და 4) შავი-ქვის მწარმოებელთა კრების საბჭოს მდივანთან, ა. თ. ბანეიშვილთან. **ტფილისში**: 1) სამეურნეო საკრედიტო საზოგადოების გამგეობაში და 2) ამხანაგობის გამგეობის წევრებთან: თავ. რ. თ. ამირეჯიბთან, ა. ს. ბაბოვთან და თავ. გ. ბ. დიასამიძესთან; **ბათუმში**—საურთიერთო საკრედიტო საზოგადოების გამგეობაში; **ფოთში**—საურთიერთო საკრედიტო საზოგადოების გამგეობაში; **ჭიათურაში**—შავი-ქვის მრეწველთა საურთიერთო საკრედიტო საზოგადოების გამგეობაში. (3—6.—3)

საბუღალტერო კლასები

დაარს. **ი. ი. ბრონ-ფონ ბრენნერის მიერ.**

შარშან **დაამთავრა** კურსი 106 შეგირდმა: 43 ქალმა და 63 ვაჟმა. კლასებთან არის **ბიბლიოთეკა, სასაქონლო-საცეხნოლ, მუზეუმი და ბიურო** პრაქტიკულ მუშაობათათვის.

წელს მოწვეულნი არიან ლექციების საკითხავად საუკეთესო სპეციალისტები, სახელდობრ: ინჟ. მ. ი. **ჩენგერი**, ინჟ. გ. ი. **დიუგოვი**, იურისტი ვ. ა. **მონკალოვი**, დამსახ. პრ. **ლევიცკი**, მასწავლ. საშუალ. სასწავლ. ე. კ. **ლიოფენი**, ი. ფ. **გრუმლიკი**, ს. ე. **კოზლოვი** და სხ.

სავალდებულო საგნები კლასებში:

ბუხგალტერია, საბანკო საქმე, საკომერციო არითმეტიკა, არითმეტიკა საანგარიშოზედ, ტეხნოლოგია, სავაჭრო საქონლის მეტყველება, კორესპონდენცია, კალიგრაფია, ვაჭრობის ცოდნა, სავაჭრო კანონები და მსურველთათვის: უცხო ენები, სტენოგრაფია, ვარჯიშობა მწერალ მაშინაზედ.

კურს-დამთავრებულთ ეძლევათ **ატესტატები** და საუკეთესო შეგირდებს ეძლევათ **ადგილი სამსახურში.**

ფასი მთელის კურსისათვის 60 მან. კურსი თავდება 5-ს თვეში და სწავლა სწარმოებს ყოველ-საღამოს 5-დგან 8 საათამდე. მიიღებიან **ქალნიცა და ვაჟნიცა.**

პროგრამები და წეს-რიგი შეგირდად მიღებისა მსურველს შეუძლიან უსასყიდლოდ მიიღოს კლასების კანცელარიაში, ნიკოლოოზის ქ., № 88, დილის 9 საათიდგან ნაშუადღევის 1 საათამდე და საღამოს 5-დგან 8 საათამდე.

სწავლა დაიწყება 10 სექტემბრიდგან. ვაკანსიების რიცხვი განსაზღვრულია. ორი **უსასყიდლო** ვაკანსია თავისუფალია.

დამაარსებელი კლასებისა **ი. ბრონ-ფონ-ბრენნერი**

ადრესი: მიხეილის პროსპექტი, № 71 15—390—12)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 4 Сентября 1902 г. Типографія «Гутенбергъ» (кн. Гр. Н. Діасамидзе), Дворцовая, д. Груз. Дворянства. რედაქტორ-გამომცემელი ა. ი. სარაჯიშვილი.